სამართლმა პურის ჭამა დაიწყო...

საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიანიც ბეჯდვეთი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიანებით ბუთის გაფანა ყვეოა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 30 ივლისი, 2014 წელი.

№148 (7529)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

კანონზე მაღლა ვერავინ დადგება!

ქაქი განკითხვისა!..

მოითხოვს თუ არა პოლიტიკურ თავშესაფარს მიხეილ სააკაშვილი და რომელი ქვეყანა დასთანხმდება, მისცეს მას თავშესაფარი არაერთ მნიშვნელოვან საქმეში ბრალის წარდგენის შემდეგ?! ამ ეტაპზე ცნობილია, რომ ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, სააკაშვილს 5-დან 8 წლამდე პატიმრობა ემუქრება. პროკურატურამ მიხეილ სააკაშვილს ბრალი ოფიციალურად წარუდგინა და სასამართლოს მისთვის აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით მიმართავს. საუბარია 2007 წლის 7 ნოემბერს მომიტინგეთა მასობრივად დარბევაზე, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრასა და არკადი პატარკაციშვილის ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდებაზე.

ის, რაც საზოგადოებისთვის ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენისკენ გადადგმული ნაბიჯია, მიხეილ სააკაშვილისთვის „ნაციონალური მოძრაობისა“ და პირადად მისი „რეფორმისტული მემკვიდრეობის“ განადგურებაა. სააკაშვილი ღარიბაშვილის მთავრობის სამიზნედ მიიჩნევს თავს და თვლის, რომ მისი დევნა დაძაბავს ურთიერთობას ჩვენს ამერიკელ და ევროპელ პარტნიორებთან.

იხ. 2 გვ.

მტრისა და მოყვრის გასაგონად!

საქართველოს მთავრობა ობიექტურ გამოძიებას მიესალმება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი მთავარი პროკურატურის მიერ რამდენიმე ყოფილი მაღალჩინოსნის პასუხისგებაში მიცემას ეხმაურება და აცხადებს, რომ მთავრობა ობიექტურ გამოძიებას მიესალმება.

„2012 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ ხალხისგან მიიღო მკაფიო დავალება, რომ შეექმნა ისეთი სამართლებრივი სისტემა, როგორსაც ის იმსახურებდა, და ეს, პირველ რიგში, გულისხმობდა სამართლიანი სისტემის შექმნას. ჩვენ ხალხისგან მივიღეთ მანდატი, რომელიც ამ დავალებას ზედმიწევნით შესრულების ვალდებულებას გვაკისრებს.

ქართველ ხალხს სურს, რომ საბოლოოდ დაესვას წერტილი დაუსჯელობას, რომელიც წლების განმავლობაში იყო გაბატონებული ჩვენს ქვეყანაში. ქართველი ხალხი მის მიერ არჩეული ხელისუფლებისგან მოითხოვს ისეთ სისტემას, სადაც ჩადენილი დანაშაულისთვის კანონის წინაშე პასუხს აგებს საქართველოს თითოეული მოქალაქე და სადაც თანამდებობა ვერ იქნება ინდულგენცია.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩვენმა მთავრობამ, საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით, მაქსიმალურად შეუწყო ხელი ქვეყანაში კანონის უზენაესობის პრინციპის დამკვიდრებას. სასამართლო აღარ განიცდის ხელისუფლების გავლენას, მთავარი პროკურატურის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფით, პოლიტიკა განდევნილია სასამართლო სისტემიდან, სამართალდამცავი ორგანოები და ჯარი სრულად დეპოლიტიზებულია, დაცულია ბიზნესი და კერძო საკუთრება, უზრუნველყოფილია მედიის თავისუფლება, მოქალაქეთა ყველა ძირითადი უფლება სრულად დაცულია, დასრულდა ადამიანთა წამება ციხეებში, გაიზარდა მსჯავრდებულთა უფლებები.

დღეს, ყოველგვარი პოლიტიკური ანგაჟირების გარეშე, მთავარმა პროკურორმა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი და პასუხისგებაში მისცა ისინი, ვინც, სავარაუდოდ, დაარღვია კანონი. პროცესი აბსოლუტურად ღიაა — ქართველ ხალხს და მთელ მსოფლიოს, ყველა ჩვენს პარტნიორ და მეგობარ სახელმწიფოს, ყველა დაინტერესებულ პირს ექნება შესაძლებლობა, სრულად და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გააანალიზოს ამ მნიშვნელოვან საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები.

საქართველოს მთავრობა მიესალმება ობიექტურ გამოძიებას, რადგან სწორედ ამ გზით შევძლებთ ჩვენ, რომ საქართველოს სამართლებრივი სისტემა გახდეს უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი. ჩვენი საბოლოო მიზანია, ავაშენოთ ჭეშმარიტად დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო, სადაც კანონის წინაშე ყველა მოქალაქე იქნება თანასწორი და კანონზე მაღლა არავინ იდგება, — ნათქვამია საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებაში.

ქართველ ხალხს სურს, რომ საბოლოოდ დაესვას წერტილი დაუსჯელობას, რომელიც წლების განმავლობაში იყო გაბატონებული ჩვენს ქვეყანაში. ქართველი ხალხი მის მიერ არჩეული ხელისუფლებისგან მოითხოვს ისეთ სისტემას, სადაც ჩადენილი დანაშაულისთვის კანონის წინაშე პასუხს აგებს საქართველოს თითოეული მოქალაქე და სადაც თანამდებობა ვერ იქნება ინდულგენცია.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ჟამი განკითხვისა

(პირველი გვერდიდან)

პარლამენტის ვიცე-სპიკერის მანანა კობახიძის განცხადებით, რადგან ექსპრეზიდენტი საქართველოში არ იმყოფება, რთული წარმოსადგენია, რამდენად შესაძლოა მისი იძულებით მიყვანა განხორციელდეს, მაგრამ პროკურატურას იმის ბერკეტები გააჩნია, რომ, თუ სააკაშვილის მიმართ შესაბამისი მტკიცებულებები იარსებებს, ყველა ზომას მიმართოს, რაც სისხლის სამართლის კანონითაა დადგენილი.

იმის გამო, რომ სააკაშვილს არანაირი იმუნიტეტი არ იცავს, შესაძლოა, მასზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადონ. გამორიცხული არაა, მთავარ პროკურატურას სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მას შემდეგ გაუადვილდა, რაც წინა კვირას საქართველოში სისხლის სამართლის უცხოელი სპეციალისტები ჩამოვიდნენ. როგორც ჩანს, მათი მოწვევის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ სააკაშვილის წინააღმდეგ დევნა იყო. ამით მსოფლიო საზოგადოების წინაშე „დემოკრატიის შუქურად“ შერაცხული ექსპრეზიდენტის პასუხისგებაში მიცემა გაიოლდება, რადგან საქმეში ჩაერთვებიან იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის მთავარი პროკურორის მოადგილე სერ ჯეფრი ნაისი, ისრაელის ყოფილი სახელმწიფო პროკურორი მოშე ლადორი და ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების ყოფილი დირექტორი პოლ კაფი.

იმის გამო, რომ საკაშვილი ნებით არ ჩამოდის ქვეყანაში, საინტერესოა, როგორ განხორციელდება მისი ექსტრადირება და მოითხოვს თუ არა ექსპრეზიდენტი პოლიტიკურ თავშესაფარს? მით უფრო, პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, ზოგჯერ ცალკეული სახელმწიფოები მოქმედებენ არა სამართლის დაცვით, არამედ – პრაგმატული თვალსაზრისით.

უფლებადამცველი **გელა ნიკოლაიშვილი** For.ge-სთან საუბარში არ გამორიცხავს, რომ მინიმუმ, ორი ქვეყანა მაინც მისცემს პოლიტიკურ თავშესაფარს სააკაშვილს. ერთია – უკრაინა და მეორე – აშშ. გასაგებ მიზეზთა გამო, უკრაინას მიაჩნია, რომ სააკაშვილი მათი მოკავშირეა და ანტირუსული ისტერია აქვს ატეხილი. ამიტომაც სააკაშვილისნაირი ფიგურის დროშად გამოყენება ადვილი და სასარგებლო იქნება. მით უმეტეს, ანტირუსული ისტერიის საფუძველი არსებობს, რადგან რუსეთი მართლაც ახდენს უკრაინის ტერიტორიების ნაწილის ოკუპაციას. მეორე ქვეყანა, რომელიც სააკაშვილის „მფარველი“ შეიძლება გახდეს, გელა ნიკოლაიშვილის აზრით, ამერიკის შეერთებული შტატებია, სწორედ ამერიკაში „იშვა“ „სააკაშვილის პროექტი“, მათ მაქსიმალურად გამოიყენეს იგი რუსეთის წინააღმდეგ და ახლა მისი მოსროლა და მიტოვება ამერიკას კარგად არ წარმოაჩენს.

უფლებადამცველი არც იმას გამორიცხავს, რომ შესაძლოა, კიდევ გამოჩნდეს სხვა ქვეყანაც, რომელიც სააკაშვილს პოლიტიკურ თავშესაფარს მისცემს. თუმცა კი, საერთაშორისო ძებნის გამოცხადების შემდეგ სააკაშვილისთვის შეზღუდული იქნება გადაადგილება.

„სააკაშვილს სჭირდება პოლიტიკური თავშესაფარი და, ალბათ, მიიღებს კიდეც ამ თავშესაფარს. თუმცა, ასეთ შემთხვევაშიც, მას გაუჭირდება ერთი ქვეყნიდან მეორეში მოძრაობა, რადგან ის ქვეყანა, რომელიც პოლიტიკური თავშესაფრის მიცემას თანხმდება, ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევს მხოლოდ საკუთარ ტერიტორიაზე. თორემ, თუ სააკაშვილი დატოვებს და სხვა ქვეყანაში გადავა, იმ სხვა ქვეყანაში პოლიტიკური თავშესაფარი აღარ იმოქმედებს. გადაკვეთს თუ არა ამერიკისა ან უკრაინის საზღვარს, მაშინვე შეიძლება დააკავონ და დაიწყონ ექსტრადიციის საკითხის განხილვა. სამშობლოში მისი სტატუსი ბრალდებულის სტატუსი იქნება და შემდეგ, ალბათ, დაუსწრებლად გაასამართლებენ და გახდება მსჯავრდებული. თუმცა, ძალზე ფრთხილად ვეკიდები იმ მტკიცებულებებს, რომელიც შეიძლება ჰქონდეს პროკურატურას. რაც მათ გამოაცხადეს, რომ ეს არის რამდენიმე კაცს შორის საუბარი, იმედი მაქვს, ამ საუბრის დამსწრეების ჩვენებები აქვთ და არა რაღაც ყურმოკრული ამბები. თუ მტკიცებულებები არ გაჩნიათ ან სუსტი მტკიცებულებები აქვთ და მაინც გარისკეს ბრალის წაყენება, მაშინ ძალზე უპასუხისმგებლოდ შეფასდება პროკურატურის ეს გადაწყვეტილება. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რა სიმყარის მტკიცებულებები ექნება პროკურატურას, – აცხადებს გელა ნიკოლაიშვილი და განმარტავს, თუკი დამაჯერებელი მტკიცებულებების მიუხედავად, ამერიკა მაინც მისცემს პოლიტიკურ თავშესაფარს სააკაშვილს, მაშინ ეს ფაქტი ამერიკის პრესტიჟზე იმოქმედებს საქართველოში და კიდევ ბევრ სხვა ქვეყნაშიც. ხოლო, თუ ძალზე სუსტი მტკიცებულებები ექნება ჩვენს პროკურატურას, მაშინ მათ მიეცემათ იმის მტკიცების საშუალება, რომ სააკაშვილს, როგორც პოლიტიკურ დევნილს, მისცეს პოლიტიკური თავშესაფარი და ჰუმანური მიზნებიდან გამომდინარე იმოქმედეს. ეს ამერიკის ავტორიტეტს კიდევ უფრო აამაღლებს.

უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე **მერაბ ტურავა** For.ge-სთან საუბარში განმარტავს, რომ ექსტრადიციის პროცედურები არ არის სამართლებრივი პროცედურები, ეს არის ერთობლივად სამართლებრივი და პოლიტიკური პროცედურები. შეიძლება დანაშაული ჩადენილ იყოს, არსებობდეს საამისო მტკიცებულებები, მაგრამ, თუ სახელმწიფო დაადგენს, რომ არსებობს ვარაუდი, რომ გადაცემის შემთხვევაში არ აღსრულდება სამართლიანი მართლმსაჯულება, არამედ ეს იქნება პოლიტიკური ანგარიშსწორება, ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფოები თავს იკავებენ ექსტრადიციისგან.

იმის გამო, რომ სააკაშვილს არანაირი იმუნიტეტი არ იცავს, შესაძლოა, მასზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადონ. გამორიცხული არ არის, მთავარ პროკურატურას სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მას შემდეგ გაუადვილდა, რაც წინა კვირას საქართველოში სისხლის სამართლის უცხოელი სპეციალისტები ჩამოვიდნენ.

მისცემენ თუ არა სააკაშვილს თავშესაფარს, მერაბ ტურავას აზრით, ეს დამოკიდებულია თავად უცხოეთის სახელმწიფოს იუსტიციის სამინისტროზე.

მერაბ ტურავას აზრით, სანამ წითელი ცირკულარი გამოცხადდება, ბრალის წარდგენა სააკაშვილის უცხოეთში გადაადგილებას ხელს არ შეუშლის. გადაადგილებისას პრობლემა მხოლოდ მაშინ შეიქმნება, როდესაც პროკურატურის მხრიდან ბრალის წარდგენას ეროვნულ სასამართლოში აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობის შესახებ შუამდგომლობის დაყენება და მოსამართლის მიერ ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება მოჰყვება.

„თუ ქართველი მოსამართლე ბრალის წაყენების შემდეგ მას პატიმრობას არ შეუფარდებს, მანამდე მას არ აქვს შეფერხებული გადაადგილების უფლება“, – აცხადებს ყოფილი მოსამართლე.

მანანა ნოზაძე

◎ ალიანჩალიანი

პრეზიდენტის მრჩეველი სომხეთის ეპისკოპოსს შეხვდა

საძართველოს პრეზიდენტის მრჩეველი სოფიო შამანიდი საქართველოში სომხური სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსს ვაზგენ მირზახანიანს შეხვდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს„ პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან აცნობეს, შეხვედრისას მხარეებმა სომხურ ეკლესიის პრობლემები და ეროვნულ უმცირესობაში არსებული მდგომარეობა განიხილეს. სოფიო შამანიდმა ეპისკოპოს ვაზგენ მირზახანიანთან 19 ივლისს სომხურ ეკლესიასთან მომხდარ ინციდენტზეც იმსჯელა. მხარეებმა ძალადობა დაგმეს და იმედი გამოთქვეს, რომ გამოძიება მალე დასრულდება.

ვასილ მაღლაფერიძე დაადასტურებს იმას, რაც სახალხო დამცველმა უთხრა

მცხეთა-მთიანეთის ყოფილმა გუბერნატორმა ვასილ მაღლაფერიძემ პროკურატურას 7 ნოემბრის მოვლენებთან დაკავშირებით მისცა ჩვენება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ვასილ მაღლაფერიძემ განუცხადა, პროკურატურამ ორი კვირის წინ დაკითხა.

ორი კვირის წინ დამიკითხეს 2007 წლის ნოემბრის მოვლენებთან დაკავშირებით. 2007 წლის 5 ნოემბერს ამის შესახებ წერილობითი ჩვენება მივეცი მაშინდელ სახალხო დამცველს. სახალხო დამცველმა ამის შესახებ ისაუბრა პრესით, მათ შორის პარლამენტში და საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვდა. შემდეგ ეს ჩვენება ითარგმნა და გადაეცათ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მათ შორის თომას ჰამერბერს, პიტერ სემნებს და სხვა მაღალი რანგის დიპლომატებს. სწორედ ეს მოვუყევი მე ორი კვირის წინ პროკურატურას, როდესაც 8 წლის შემდეგ მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ ამ საქმეს დაბრუნებოდა. მკითხეს, დავადასტურებდი თუ არა, რაც მე თავის დროზე სახალხო დამცველს ვუთხარი. რასაკვირველია, დავადასტურებდი, – განაცხადა მაღლაფერიძემ.

რუკას დახედე, ლეონიდ, რუკას!..

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტობის კანდიდატი ლეონიდ ძაპშბა „საქართველოსთან საზღვრის ჩაკეტვის“ პირობას დებს. ამის შესახებ ძაპშბამ Caucasus Times-სთან ინტერვიუში განაცხადა.

მას, აფხაზეთის გავლით, რუსეთისა და სომხეთის დამაკავშირებელი სარკინიგზო მიმოსვლის შესაძლო აღდგენის თაობაზე დაუსვეს კითხვა.

– სარკინიგზო ხაზი – ეს აუცილებელია, ჩვენ ვერ შევძლებთ ასე არსებობას მომავალშიც. სარკინიგზო მიმოსვლა, ეს დროის მოთხოვნაა. სარკინიგზო ინფრასტრუქტურის აღდგენას უახლოეს მომავალში ჩვენ თვითონ ვერ შევძლებთ, მაგრამ რატომ არ შეგვიძლია, გავაკეთოთ რუსეთის შუამავლობით? ვისთვისაა ცუდი, თუ ჩვენი ბიუჯეტი შეიავსება? ამიტომ ჩვენ არ უნდა დავიკეტოთ მთელი მსოფლიოსთვის, ისედაც დიდი ხანია, ამ მდგომარეობაში ვიმყოფებით. სარკინიგზო ხაზი – ეს სასიცოცხლოდ აუცილებელია, ისევე როგორც გაზიფიკაცია, აეროპორტი. ასევე, სასარგებლოდ მიმაჩნია ფსოუზე საზღვრის გახსნა, ასევე, მართებულად მიმაჩნია მდინარე ენგურზე საზღვრის ჩაკეტვა, – განაცხადა ლეონიდ ძაპშბამ.

ბატონმა ლეონიდმა ან არ იცის სომხეთი სად მდებარეობს ან ხუმრობის ხასიათზე დამდგარა. ახლა ჩვენც გვაინტერესებს – ფსოუზე თუ ხსნის საზღვარს რკინიგზის ხაზით, რომ სომხეთს დაუკავშირდეს, მაშინ ენგურის საზღვრის ჩაკეტვა ცოტა უცნაურად მიგვაჩნია. რუკას დახედეთ ბატონო ლეონიდ, სანამ „პრეზიდენტად“ აგირჩევენ.

◎ ყურადღებაზლობა!

არჩევნები, ო, ეს არჩევნები

ღია წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით უსუფაშვილს

ბატონო დავით!

სწორედ ასეა დასათაურებული ჩემი ახლახან გამოცემული წიგნის „მასალები საბრალდებო დასკვნისათვის“ ერთ-ერთი ქვეთავი, რომელშიც გავაერთიანე ამ უმწვავეს და უსერიოზულეს პრობლემასთან, ჩემს მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული პუბლიკაციების ძირითადი ამონარიდები. გაგაცნობთ მხოლოდ ერთ მათგანს: „წინასაარჩევნო პერიოდში ნებისმიერ სუბიექტს (ფიზიკურ პირს, პოლიტიკურ ორგანიზაციას) უნდა ჰქონდეს სააგიტაციო საშუალებებისა და სახელისუფლებო რესურსების გამოყენების თანაბარი პირობები. ეს იმას ნიშნავს, რომ არჩევნებში მონაწილე ნებისმიერ სუბიექტს მათი ფინანსური, მატერიალური და სხვა რესურსების მიუხედავად, აეკრძალებათ ამ მიზნით, თუნდაც ერთი ლარის დახარჯვა. მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის უმკაცრესი კონტროლის პირობებში უნდა მოხდეს ნებისმიერი სახელისუფლებო რესურსებისა და ამ მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების პროპორციული პრინციპით განაწილება და ხარჯვა“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“; 20 თებერვალი, 2008 წელი).

ბატონო დავით! რომელიმე აქ დაყენებულ პრობლემას, თავის დროზე სათანადო რეაგირება რომ მოჰყოლოდა არ დავდგებოდით იმ რეალობის წინაშე, რომელიც ამ დღეებში, სამართლიანად გახდა მასმედიის თითქმის ყველა საშუალების ქილიკისა და ამომრჩეველთა გულგატეხილობის კიდევ ერთი საბაბი.

მართალია მოქმედი კანონმდებლობა გარკვეულ დონეზე არეგულირებს წინასაარჩევნო პერიოდში სააგიტაციო საშუალებების თანაბარი გამოყენების პრობლემებს, მაგრამ სამწუხაროდ, ყოველივე ეს რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ კანონმდებლობას ესაჭიროება სერიოზული დახვეწა და სრულყოფა, რომელმაც მომავალში უნდა გამორიცხოს ის ამაზრზენი შედეგები, რომლებთანაც დღეს გვაქვს საქმე.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ სასწრაფოდ გამოყოთ სპეციალური მუშა-ჯგუფი, რომელთანაც ერთად, დავხვეწთ სათანადო საკანონმდებლო ბაზას და ერთხელ და სამუდამოდ, ევროპელობას რომ ვიჩემებთ წამდაუწუმ, მისი შესაფერისი „თამაშის წესები“ მაინც გვექნება.

დარწმუნებული ვართ, ჩვენს მიერ ამ მიმართებით შემოთავაზებული მოთხოვნების დაკანონება და მათ შესრულებაზე დაწესებული უმკაცრესი კონტროლი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ამ პრობლემის მოგვარებას.

დასასრულს გაგაცნობთ, დაახლოებით ექვსი წლის წინათ, ჩვენს მიერ გამოქვეყნებული სტატიიდან კიდევ ერთ ამონარიდს და ბოდიშს მოგიხდით თქვენი ასეთი ფორმით შეწუხებისთვის.

„არ არის გამორიცხული, რომ პრეზიდენტობის, მერობის ან დეპუტატობის ფულიანმა კანდიდატმა მყისიერად დასვას კითხვა: რა შუაშია ცენტრალური საარჩევნო კომისია ან ბიუჯეტის თანხების პროპორციულად გამოყენება. მე მაქვს ფული და სადაც მინდა და რამდენსაც მინდა, იმდენს დავხარჯავო. ჩვენი პასუხი ამ შეკითხვაზე ასეთი იქნება: შენი ფული და ქონება ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს და სადაც გინდა და როგორც გინდა, ისე დახარჯე, ოღონდ ჩვენს ქვეყანაში პრეზიდენტობა, მეროობა და დეპუტატობა ფულზე ან „ფოჩიან კანფეტებზე“ აღარ გაიყიდება. გახდი ბატონო პრეზიდენტი, მერი, გინდ დეპუტატი და მერე როგორც გინდა, ისე დახარჯე შენი ქონება. მაშინ უფრო კარგად გამოჩნდება, ქველმოქმედი ხარ თუ ფულიანი მოძალადე“.

პატივისცემით,
ანზორ ბაბუხადია
გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორ-გამომცემელი
(222-43-39; 599 54-54-60).

P.S. მინდა, მჯეროდეს, რომ ამ წერილსაც ისეთივე ბედი არ ეწევა, როგორიც 2013 წლის 26 თებერვალს, თქვენთან პირისპირ, სამუშაო წესით, დაახლოებით ოთხსაათიან შეხვედრაზე, ქართული ენის გადარჩენის პრობლემებზე მსჯელობისას.

ვინ მოკლა მიხეილ სააკაშვილის საქმის მთავარი მოწმე?

ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ერთ-ერთი დამფუძნებლის ეროსი კიწმარიშვილის თვითმკვლელობა თუ მკვლელობა, კიდევ ერთი, სრულიად მოულოდნელი და ბურუსით მოცულია, რომელიც ხელისუფლებას ახალ, მძიმე ტვირთად დააწვა.

ისევე როგორც ბარბარე რაფალიანცის მკვლელობა, რომელიც როგორც ცნობილია, ბოლომდე გახსნილია, მაგრამ ამ მკვლელობაში მონაწილე პირთა მხილება ძალოვან უწყებებს იმის გამო უჭირთ, რომ 9 თვის ბარბარე რაფალიანცის მკვლელობა საკუთარი ოჯახის წევრების კისერზეა. ვიდრე შინაგან საქმეთა სამინისტრო და პროკურატურა დანაშაულში ეჭვმიტანილთა მიმართ, სიბრალულის გამო ლოიალობას იჩენენ, ამასობაში ნაციონალური მოძრაობის ლიდერები შემთხვევას ხელიდან არ უშვებენ და ხელისუფლებას ბარბარე რაფალიანცის გაუხსნელ მკვლელობას ხშირად ახსენებენ. საოცარია, ძალოვან უწყებათა პასიურობა ამ სისხლის სამართლის საქმისა და იმ შეურაცხმყოფელი განცხადებების მიმართ, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ ინტენსიურად ახორციელებს.

როგორც ცნობილია, ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერ პირებს დაევალათ, გაევრცელებინათ ინფორმაცია, თითქოს ამ მკვლელობაში, ხელისუფლებასთან დაახლოებული „ცნობილი“ ოჯახი იყო დაკავშირებული. ამ დეზინფორმაციას „ნაციონალებს“ საამებლად და ერთგულების დასამტკიცებლად, ბარბარე რაფალიანცის მკვლელობის ერთ-ერთი გამომძიებელი აწვდიდა. ამჯერად, რატომღაც ნაციონალების გვერდის ავლით ცდილობდნენ ხსენებული ინფორმაციის გავრცელებას, მაგრამ ამ აბსურდის გავრცელება არც ერთმა ჟურნალისტმა არ აიღო. შედეგად კი, ნაციონალური ჩანაფიქრი, დროებით შეფერხდა.

თუმცა, ეს „დროებითი“ შეფერხება, მართლა დროებითია და ბოროტებასა და შავი პიარის აგორებაში გაწვრთნილი ნაციონალები, ბარბარე რაფალიანცის მკვლელობის საქმეს მათთვის სასურველ დროს კვლავ გამოიყენებენ და მათ მზაკვრულ ჩანაფიქრსაც - ამ მკვლელობაში სრულიად უდანაშაულო ადამიანები გასვარონ და 9 თვის ბავშვის მკვლელობა დააბრალონ - სისრულეში მოიყვანენ.

ჰოდა, რადგანაც არც ეშმაკს სძინავს და არც ნაციონალებს, რომლებიც ყველაფერს კარგავენ და ამასთან შეგუებას არ აპირებენ, ხელისუფლების დისკრედიტაციისთვის, ისინი დღე და ღამე მუშაობენ. ნაციონალები მუდმივად ინტრიგებს ხლართავენ და ჭორებს ავრცელებენ. იმედია, ხელისუფლება უფრო მეტად გამოფხიზლდება და ბარბარე რაფალიანცის მკვლელობის საქმეზე, მეტ ყურადღებას და სიფხიზლეს გამოიჩენს და სააშკარაოზე დროულად გამოიტანს, ამხელს დანაშაულის ჩამდენ ყველა პირს, მიუხედავად იმისა, როგორი მტკივნეულიც უნდა იყოს ის საზოგადოებისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაჩნდება ლოგიკური შეკითხვა, მართლა ხომ არ აქვს საერთო ნაციონალების მიერ დაგეგმილი პროვოკაციის გავრცელებას რეალობასთან?

ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი გამოდის, რომ ხელისუფლების ძალოვან უწყებებში ჩაბუდებული ნაციონალების მომხრე კადრები, რომლებიც დღემდე აქტიურად ასრულებენ ფავორიტი პოლიტიკური პარტიის დაკვეთას, შეიქმნა განცდა იმისა, რომ ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს ისეთი გახმაურებული მკვლელობის გახსნას, იმიტომ რომ მასთან დაახლოებულმა პირებმა ჩაიდინეს ეს მკვლელობა? **ამიტომ ხელისუფალნო, რომ არ ჩაგეძინოთ, სახეზე წყალი შეისხით და საქმე დროულად გახსენით.**

ბარბარე რაფალიანცის მკვლელობის საქმის მსგავსად, ეროსი კიწმარიშვილის ბურუსით მოცული საქმეც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ მკვლელობა მოხდა სავსებით გამიზნულად და სიფრთხილის დაცვით, ისე რომ დანაშაულის ადგილზე მკვლელს სამხილი არ დაუტოვებია. ერთადერთი, რაც დასაწყისშივე ნათელი იყო, მკვლელს სამიზნე კონტროლზე ჰყავდა აყვანილი და ისიც იცოდა, ეროსიმ რომ იარაღი შეიძინა. ასევე იცოდა, სახლიდან როდის გამოვიდოდა, ავტოფარეხში შევიდოდა და ავტომობილში ჩაჯდებოდა.

მკვლელმა მკვლელობის ადგილზე მოკლულის იარაღი გამიზნულად დატოვა, რადგან მან ამით ყურადღება თვითმკვლელობის ვერსიაზე გადაატანინა სამართალდამცავებს. დამნაშავის ამ „ტრიუკმა“ კარგად იმუშავა და სამართალდამცველებმა ნაჩქარევად, სრულიად გაუმართლებლად სისხლის სამართლის საქმე თვითმკვლელობის მუხლით აღძრეს. ამაზე ატყდა ერთი აურზაური, ისე როგორც ეს ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებისას ნაციონალებმა გააკეთეს, - გარდაცვლილი, როგორც იტყვიან, გაციებული არ იყო, რომ იმუამინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა და გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა, დილის 07:30 საათზე, სრულიად საქართველოს აუწყეს, რომ პრემიერ ზურაბ ჟვანიას და რაულ უსუპოვის სიცოცხლე უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა, ისინი გაზმა გაგუდაო. სწორედ, ამ ნაჩქარევმა განცხადებამ გახადა საეჭვო ზურაბ ჟვანიას მკვლელობის მოტივი და საზოგადოებამ ლოგიკური კითხვა დასვა: სამართალდამცავებმა ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების მოტივი ასე საჩქაროდ, გამოძიების დასრულების გარეშე რატომ გამოაცხადეს და რა აუცილებლობით იყო ეს გამოწვეული?

მას შემდეგ 9 წელი გავიდა და ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების რეალური მიზეზი არ იქნას ცნობილი. ზურაბ ჟვანიას საქმე დღემდე გაუხსნელია და ის მიხეილ სააკაშვილის მმართველობის ერთ-ერთი ყველაზე ბნელით მოცულია, იმ მრავალ გაუხსნელ და შეკვეთილ მკვლელობათა შორის, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებას კისერზე აწევს.

სამართალდამცავებმა ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების შესახებაც, ასევე ნაჩქარევი განცხადებები გააკეთეს, მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლებისგან განსხვავებით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ხარვეზით დასახელებული მოტივი, უკან წაიღეს და შეცდომა გამოასწორეს, ექსპერტიზის დასკვნებმა აჩვენა, რომ ეროსი კიწმარიშვილის იარაღიდან გასროლა არ მომხდარა, რაც იმას ნიშნავს, რომ მკვლელი მსხვერპლს ავტოფარეხთან ჩაუსაფრდა, სათვალთვალო კამერა წინასწარ შეატრიალა ისე, რომ კიწმარიშვილის ავტომანქანა, მისი მიმდებარე ტერიტორია არ გამოჩენილიყო და ეროსის ავტომანქანაში ჩაჯდომისთანავე, ღვედიც რომ გაიკეთა და ავტომანქანაც უნდა დაეძრა, ალბათ, მასზე მიბჯენით გასროლა მოახდინა. მკვლელობა იმდენად სუფთად არის შესრულებული, რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს მკვლელობა შეკვეთილი იყო და გასროლა პროფესიონალმა ქილერმა მოახდინა. ფაქტი ის არის, რომ ეროსი კიწმარიშვილი აფექტის ნიადაგზე კი არა, გამიზნულად მოკლეს და დღემდე მისი მკვლელობის შესახებ არაფერია ცნობილი.

ჩნდება ლოგიკური კითხვა, ვის აწყობდა ეროსი კიწმარიშვილის სიკვდილი და უხეშად რომ ვთქვათ, ვინ იხეირა ამ მკვლელობით?

რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს შეკვეთილი მკვლელობაა და მკვლელი დაკვეთას ასრულებდა, ეროსი კიწმარიშვილი დიდ პოლიტიკურ შურისძიებას ემსხვერპლა. ის იყო ადამიანი, რომელსაც ჰქონდა უამრავი ინფორმაცია და ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებს სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა. მკვლელობა აშკარად პოლიტიკური მოტივითაა შესრულებული, დამკვეთმა ამ მკვლელობით ორი კურდღელი დაიჭირა: ეროსი კიწმარიშვილის სახით მთავარი მოწმე მოიცილა და ხელისუფლებას კიდევ ერთი „ზურაბ ჟვანიას საქმე“ შეუქმნა. მოკლედ, ნაციონალები ხელისუფლებას ეროსი კიწმარიშვილის და ბარბარე რაფალიანცის მკვლელობის საქმეს, იმდენჯერ წამოაძახებენ, რამდენჯერაც უმრავლესობა ზურაბ ჟვანიას და სანდრო გირგვლიანის მკვლელობებს უხსენებს.

ეროსი კიწმარიშვილის პოლიტიკური მკვლელობის შთაბეჭდილებას კიდევ უფრო ამყარებს ის, რომ მან სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე დააანონსა, რომ უახლოეს პერიოდში ერთ ყოფილ მაღალჩინოსანს დააკავებენო, რაც იმას ნიშნავს, რომ ის სამართალდამცავებთან აქტიურად თანამშრომლობდა. ცნობილი იყო ისიც, რომ ეროსის სერიოზული ინფორმაცია ჰქონდა, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების, აგრეთვე 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ.

> *ნაციონალები ხელისუფლებას ეროსი კიწმარიშვილის და ბარბარე რაფალიანცის მკვლელობის საქმეს იმდენჯერ წამოაძახებენ, რამდენჯერაც უმრავლესობა ზურაბ ჟვანიას და სანდრო გირგვლიანის მკვლელობებს უხსენებს.*

ცნობილია, რომ ეროსი კიწმარიშვილი წლების განმავლობაში რუსეთის ელჩად მუშაობდა და მისთვის რუსეთ-საქართველოს შორის არსებული ყველა საიდუმლო ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყო.

მოკლედ, ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობისთანავე ნაციონალური მოძრაობის ლიდერთა მცდელობა, როგორმე მომხდარ მკვლელობაში ბიძინა ივანიშვილი გაესვარათ, — უშედეგო აღმოჩნდა. რადგანაც, „რუსთავი-2“-ის წილების დაბრუნების შესახებ, ბიძინა ივანიშვილს რაც უნდა ეთქვა, ეროსი კიწმარიშვილის, როგორც უამრავი ინფორმაციის მფლობელი მოწმის მოცილება, ყველაზე მეტად ვის აძლევდა ხელს, თუ არა მიხეილ სააკაშვილს და „რუსთავი-2“-ს?

არავის არაფერს ვაბრალებ, მაგრამ ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, კიწმარიშვილი „რუსთავი-2“-ის ამჟამინდელ მფლობელებს კუთვნილი ქონების დაბრუნებას სთხოვდა. კიწმარიშვილი მიხეილ სააკაშვილის უკანონო ქმედებების შესახებ უამრავ ინფორმაციას ფლობდა. აქედან გამომდინარე, მკვლელობის დამკვეთი, სავარაუდოდ, ცნობილია. თეორიულად, ასევე შეუძლებელია დღევანდელ ხელისუფლებას სდომოდა ეროსი კიწმარიშვილის მოშორება, რადგანაც მრავალ იმ სისხლის სამართლის საქმეში, რაშიც პროკურატურა ყოფილ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს ედავება, კიწმარიშვილი მთავარი მოწმე იყო. ამ ხელისუფლებამ კი შედეგად ერთი მწარე რეალობა მიიღო, კიდევ ერთი ბურუსით მოცული მკვლელობა, რომლის გახსნის შანსი, რეალურად არ არსებობს.

დარეჯან ლიპარტელიანი,
„ექსკლუზივ ნიუსი“

◎ ალიანჩალიანი

ვინ შეადგინა უძველესი საბადოს განადგურების გეგმა?

„საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ გენერალურმა მდივანმა ირმა ინაშვილმა, ჟურნალისტმა ნინო მიქიაშვილმა და ხრიდოლის აკადემიის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ირაკლი ლომიძემ საყდრისთან დაკავშირებით ოფიციალური დოკუმენტი გამოაქვეყნეს.

„საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში გამართულ შეხვედრაზე საყდრისის უძველესი ოქროს მაღაროს განადგურების გეგმა დასახეს. ამ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ ანთიძემ, ამავე უწყების წარმომადგენლებმა პაატა გაფრინდაშვილმა და მანანა ვარძელაშვილმა, ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ, ქართულ-გერმანული ექსპედიციის ხელმძღვანელებმა ირინე ღამბაშიძემ და თომას შტოლმერმა, კომპანიის RMGGold-ის იმჟამინდელმა დირექტორმა სოსო ცაბაძემ, გერმანიის საელჩოდან მონიკა ლეჰარდმა და საელჩოს კიდევ ერთმა თანამშრომელმა. ამ შეხვედრაზე არც კი უმსჯელიათ საყდრისის არსებული სახით შენარჩუნებაზე. მონაწილეებმა თომას შტოლმერის წინადადებები განიხილეს, რომელიც ამბობს: საყდრისი-ყვაჩაღიანის უბანზე შესაძლებელია განხორციელდეს გადარჩენითი ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური სამუშაოები მათ შორის 33 სკანირება, რათა შემდეგ სრულად გასუფთავდეს არეალი სამთამადნო სამუშაოებისთვის, — აცხადებენ საყდრისის დამცველები.

მათი ინფორმაციით, შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ საერთაშორისო დამოუკიდებელი ექსპერტების, პროფესორ ალბრეხტ იოკენჰოველისა და პროფეროს ვენელინ ჟელევ ჟელევის მიერ მომზადებული რეკომენდაციის ფარგლებში იმოქმედებენ და საბაზისო დოკუმენტად გამოიყენებენ თომას შტოლმერის წინადადებებს. ინაშვილის, მიქიაშვილისა და ლომიძის ინფორმაციით, იოკენჰოლევი და ჟელევ ჟელევი თავიანთ ანგარიშებში მკაფიოდ მიუთითებენ, რომ საყდრისი არის უძველესი ოქროს მაღარო, მაგრამ რეკომენდაციებში მის დანგრევას მწვანე შუქს უნთებენ.

ინტერპრესი

სააკაშვილი კითხვებს არა მარტო უფრთხის, გაურბის კიდეც

გვესაუბრება ფსიქოლოგი ნოდარ სარჯველაძე

— ბატონო ნოდარ, პარლამენტმა მთავრობის ახალი შემადგენლობა დაამტკიცა.თქვენი დაკვირვებით, რამდენად დიდია ალბათობა, რომ ახალი ხელისუფლების მეორე მთავრობა, პირველისაგან განსხვავებით, „უფრო ეფექტური იქნება“?

— თუ რამდენად ეფექტური იქნება მთავრობის ახალი შემადგენლობა, ამ ეტაპზე პროგნოზირება საკმაოდ რთულია თუნდაც იმიტომ, რომ იგი მთელი დატვირთვითა და სრულად მუშაობას სექტემბრიდან შეუდგება.

თავად ის ფაქტი, რომ დროის მოკლე მონაკვეთში მინისტრების საკმაოდ დიდი ნაწილი შესაცვლელი გახდა, იმ თვალსაზრისით არის პრობლემატური, რომ მინისტრს ეფექტური მუშაობისთვის ერთი წელი მაინც სჭირდება ვითარებაში გასარკვევად. ჩემი დაკვირვებით, ახალმა ხელისუფლებამ მინისტრები მაშინ გაათავისუფლა, როცა მათ მეტნაკლებად შეძლეს ვითარებაში გარკვევა. შვიდი მინისტრის გათავისუფლება იმაზე მიანიშნებს, რომ ხელისუფლებაში ვითარება აშკარად არასტაბილურია.

სტაბილური ვითარების მიღწევას გარკვეული დრო სჭირდება. თუ ახალი მინისტრებიც მალე შესაცვლელი გახდნენ, ეს ქვეყნისთვის და ხელისუფლებისთვის ძალიან ცუდი იქნება. გამოვთქვამ სურვილს, ხელისუფლება იმ შემთხვევაში მოერიდოს მინისტრების გაშვებას, თუ რა თქმა უნდა, მათ დანაშაული არ ექნებათ ჩადენილი. მთავრობის წევრთა წარამარა ცვლილებას ისევ საქმეში გარკვეული კადრების შენარჩუნება სჯობია, ვინაიდან უკვე იციან, რა და როგორაა გასაკეთებელი. მთავრობის შერჩევა და საკადრო ცვლილებები ექსპერიმენტების ხასიათს არ უნდა ატარებდეს.

— ცალკე საუბრის თემაა პარლამენტში მთავრობის დამტკიცებასთან დაკავშირებით გამართული დებატები. თუ დებატებისას მხედველობაში არ მივიღებთ შეურაცხყობებისა და კლოუნადის ელემენტებს, დებატების მთავარი აზრი დაახლოებით ასეთი გახლდათ — პრემიერ ღარიბაშვილის მთავარ განცხადებას — „საქართველოში კონსტრუქციული ოპოზიცია არ არსებობს“, პარლამენტის ექს-სპიკერმა დავით ბაქრაძემ უპასუხა — „ჩვენ ვართ კონსტრუქციული, მაგრამ კრიტიკული ოპოზიცია“. თქვენი დაკვირვებით, არსებობს თუ არა ქვეყანაში კონსტრუქციული ოპოზიცია და არის თუ არა „ნაცმოძრაობა“ კონსტრუქციული, მაგრამ კრიტიკული ოპოზიცია.

— ჩემი აზრით, ორივე მხარის მტკიცება — „არ არსებობს კონსტუქციული ოპოზიცია“ და „ჩვენ ვართ კონსტრუქციული, მაგრამ კრიტიკული ოპოზიცია,“ იმთავითვე მცდარი პოსტულატია. სამწუხაროდ, მხარეები ერთმანეთს არ უყურებენ პატივისცემით. ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის უნდა იყოს პატივისცემითი და არა აგდებითი და განქებითი დამოკიდებულება. პრემიერის განცხადება ისევე არასერიოზულია, როგორც ექს-სპიკერის მტკიცება. თუ ხარ კონსტრუქციული, მაგრამ კრიტიკული, მაშინ ოპონენტს შეიძლება გარკვეულ საკითხებში დაეთანხმო. არადა, ძნელად თუ გაგვახსენდება შემთხვევა, როცა ოპოზიცია ხელისუფლებას რამეში დათანხმებოდა, ანაც ხელისუფლება დათანხმებოდა რომელიმე საკითხში ოპოზიციას. არადა, პოლიტიკური ცხოვრება და ცივილიზებული პოლიტიკური ბრძოლისა და ურთიერთობების კულტურა უამისოდ წარმოუდგენელია. ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთს იმაში გვანან, რომ ერთმანეთს ერთნაირი იარაღით ებრძვიან. სამწუხაროდ, ეს იარაღი უმეტესწილად ლანძღვა-თათხვა და ერთმანეთისთვის მხოლოდ შეურაცხყოფის მიყენებაა.

— არავინ უარყოფს, რომ სახელმწიფოს ბიუროკრატიული აპარატი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფინანსურად და ქრთამის აღება აზრად არავის მოსდიოდეს, მაგრამ ამ სფეროში წინა პერიოდში და ახლაც არსებული ვითარება მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ქართული სახელმწიფოს პრიორიტეტია ბიუროკრატიული აპარატის ყოველმხრივი უზრუნველყოფა და არა საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება. ხომ არ უნდა ვივარაუდოდ, რომ ძლიერი და კვალიფიციური ბიუროკრატიული აპარატის გარეშე დემოკრატული, ევროპული ტიპის სახელმწიფო ვერ აშენდება?

— ძლიერი ბიუროკრატიული აპარატის გარეშე სახელმწიფო მართლაც ვერ აშენდება. პოსტულატი, რომ ჩინოვნიკი, მოხელე, მაღალ ხელფასს უნდა იღებდეს, რათა კორუფციულ გარიგებებზე არ იფიქროს, საკმაოდ გულუბრყვილო დაშვებაა, რომელიც თავის დროზე საკაშვილს ჰქონდა და, ეტყობა, ახალი ხელისუფლებაც ამით ხელმძღვანელობს.

ადამიანი ხელფასის ნებისმიერ ოდენობას ეგუება. თუ აქამდე მისი ხელფასი იყო 1000 ლარი და ახლა მიიღებს 2000 ლარს, დროთა განმავლობაში ეს 2000 ლარიც მისთვის ჩვეულებრივი ამბავი იქნება და 3000 ლარი მოუნდება. ეს ბიზნესშია შესაძლებელი, ვინაიდან ბიზნესში მუდმივად არის წინსვლა და მოგებების ზრდა ბუნებრივია. სახელმწიფო მოხელეობა მოგებების ზრდაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. ვისაც სახელმწიფო მოხელეობა სურს, უნდა იცოდეს, რომ მას დაწესებული სტანდარტის ხელფასი მიეცემა. იგი ამ სტანდარტში ისევე უნდა ჩაჯდეს, როგორც „დათა თუთაშხიაში“ მუშნი ზარანდია ამბობს — კაცი უნდა ეყოს ხელფასს და არა ხელფასი კაცს.

ხელფასის გაცემაზე, მოტივირებასა და სტიმულირებაზე უამრავი საინტერესო კვლევა არსებობს. იმავე კვლევებით დადგენილია, თუ რა გამრყვნელ ზეგავლენას ახდენს ამა თუ იმ დონის მოხელეებზე როგორც დიდი ხელფასი, ისე დიდი პრემია. დაშვება, რომ მოხელეს მაღალ ხელფას მისცემ და ის არ მოიპარავს, იმთავითვე არასწორია, მაგრამ ასეთ ვითარებაში იქმნება შესანიშნავი წინაპირობა ელიტარული კორუფციისათვის. ახალი ხელისუფლება ისევე აჩენს ელიტარული კორუფციის შანსებს, როგორც თავის დროზე სააკაშვილმა გააჩინა. გახსოვთ ალბათ, რომ სხვადასხვა მარეგულირებელ კომისიების წევრებს 30-40 ათასი ჰქონდათ ხელფასი.

თუ ახალმა ხელისუფლებამ გაგრძელა სააკაშვილის იმ პოსტულატის მოქმედებაში დატოვება, რომლის თანახმადაც ჩინოვნიკებს მაღალი ხელფასი უნდა ჰქონდეთ, სულ ცოტა ხანში ელიტური კორუფცია ჩვეულებრივი ამბავი გახდება. პედაგოგი ქვეყანას, მათ შორის ამ ჩინოვნიკებს უზრდის შვილებს, არადა, პედაგოგს ჩინოვნიკზე 20-ჯერ ნაკლები ხელფასი აქვს.

მეორე მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ დანგრეულ და გაპარატახებულ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ყველაზე პრესტიჟული იყო პედაგოგის, ექიმისა და იურისტის პროფესიები. შესაბამისად, სხვასთან შედარებით ყველაზე მაღალი ხელფასები სწორედ მათ ჰქონდათ. ჩვენთან ექიმსაც და პედაგოგსაც დაბალი ხელფასები აქვთ. იურისტებს რომ ახლა მეტი გასაქანი აქვთ, ფაქტია. თუ გვინდა, ამ სფეროში რამე დავალაგოთ, ხელფასების გაცემის თვალსაზრისით ხელისუფლებამ პრიორიტეტები უნდა შეცვალოს. ანუ, სახელმწიფო მოხელეებს კი არ უნდა ჰქონდეთ დიდი ხელფასი, არამედ მათ, ვინც ქვეყანას ბავშვებს უზრდის და ადამიანების ჯანმრთელობას უზრუნველყოფს.

— ნაციონალები აცხადებენ, რომ „სააკაშვილი არ აპირებს პუტინისა და ოლიგარქის ერთობლივ თამაშში ჩარევას“. არადა, პროკურატურის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ სააკაშვილთან კითხვები აქვთ. სააკაშვილის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი ამტკიცებს, რომ „ხელისუფლებას სააკაშვილის საქართველოში დაბრუნების ეშინია“. რთული სათქმელია, ეს ასეა თუ არა, მაგრამ ახლა რჩება შთაბეჭდილება, რომ თავად სააკაშვილი გაურბის მის მიმართ არსებულ უხერხულ კითხვებს...

— ბუნებრივია, რომ სააკაშვილის მიმართ კითხვები არსებობს. როგორც ჩანს, ეს კითხვები მისთვის გარკვეული საფრთხის შემცველია და სულაც არ მიკვირს, იგი მათ არა მარტო უფრთხის, გაურბის კიდეც. სააკაშვილმა ჩვენზე უკეთ იცის, რომ ბევრი უკანონობა აქვს ჩადენილი. სააკაშვილი ბოლომდე იბრძოლებს იმისთვის, რომ პროკურატურაში დაკითხვაზე არ გამოცხადდეს.

სიტუაცია, როცა სახელმწიფო აცხადებს, რომ სააკაშვილი უნდა დაიკითხოს, ხოლო ის ჯიუტად არ ჩამოდის, წყალს მიუშვებს მოსახლეობაში დაძაბულობის მუხტის არსებობაზე. ანუ, ქვეყანაში დაძაბულობისა და ურთიერთსიძულვილის ენის არსებობას განაპირობებს სააკაშვილის ქცევაც და ხელისუფლების მხრიდან პროკურატურაში მისი მისვლის დაჟინებული მოთხოვნაც. ეს არ გახლავთ ჩვეულებრივი თემა და მას სერიოზული დაფიქრება სჭირდება.

თუ როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს ხელისუფლებას სააკაშვილისადმი, მზა რეცეპტები არა მაქვს, მაგრამ, ჩემი აზრით, თუ სააკაშვილი საერთოდ არ იქნება მსჯელობის საგანი, ბევრად უკეთესი იქნებოდა ქვეყნისთვის. ვიდრე არსებობს იმის მოლოდინი, რომ იგი ჩამოვა, მას რამეში გამოტეხავენ და ციხეში ჩასვამენ, სააკაშვილის თემა სულ აქტუალური იქნება. ასეც რომ მოხდეს, ქვეყანა ამით ვერც ვერაფერს მოიგებს. ალბათ, უფრო, პირიქით.

ჩემი აზრით, უბრალოდ, გაუგებარია, სააკაშვილზე ამდენი დროისა და ენერგიის კარგვა.

კობა ბენდელიანი

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● არჩევნების მგლები რომ ყავხართ ოცნებას, რატომ არავინ არ ან ვერ მიაქციეთ ყურადღება „პატარა საკანონმდებლო ლაფსუს“ და რატომ დააცინინეთ ისევ გოგორიშვილს თავი?

შეგისრულათ ისევ ...

აწი ცესკოს პარტიული 7 წევრიდან 5 ოცნებისაა და 2 ნაცების... ამოვარდა ფორუმის წევრი და ჩაჯდა ნაცი.

მომილოცავს პატივცემულებო!

● ისეთი ტემპით იყრება ნიღბები რომ ვადამდელის სურნელი მცემს.

● პროკურატურა მიხოს დანაშაულობებს რომ თვლიდა, ფილმ „კეთილი ბოროტი ცუდიდან“ ნაწყვეტი გამახსენდა, ტუგოს ყულფში თავი აქვს გაყოფილი და ჩამოხჩობის წინ მის მიერ ჩადენილ დანაშაულებებს უკითხავენ.... ერთი ერთზეა.

პ.ს. თუ ვინმეს შეგიძლიათ, ეგ ნაწყვეტი ამომიჭერით რა.

● ვანო მერაბიშვილი: გალახული კაცი საქართველოში ჩმორია!

იმდენი შენ რა გითხარი და ყველა გაულახავ კაცს რა ვუთხარი, ჩემგან დაწყებული!

● ეგ ხუთკედლიან კამერაში უნდა ჩასვა...ერთი კედლით მეტი ექნება თავის მისარტყმელად და სიმბოლურიც იქნება.

● ჩვენ იმ დროში უმრავლესობა ფაქტიურად პატიმრები ვიყავით. ვიღაცა კი ფესტივალებს აწყობდა, კუტუნიოები ჩამოყავდა, ფასადს ქმნიდა, რომლის მიღმა არ ჩანდა რეალურად რა მარაზმში ვიმყოფებოდით! დღესაც იგივეს აწვეიან, აწყობთ ფარდა რომ გვეფაროს. თვითონ კარგად არიან, არ ვკიდივართ?! სანამ ოპოზიციაში იყავით კარგად კი ჩხაოდით: „რა დროს ტაშფანდურიაო?!ძ. ერთი ლოთიანად დაგვითვალეთ, რით ვარსებობთ? ემიგრანტების ვირული შრომით, თუ ტურიზმით?

● ჯაზ ფესტივალი ქვეყნის იმიჯს ამტკიცებს!

რომელი ქვეყნის? იმ ქვეყნის, სადაც წელწადში 350 ბავშვი შიმშილით კვდება; სადაც დეპუტატებს თვეში 3441 ლარი აქვთ და კიდევ მეტს თხოულობენ;

სადაც პენსია 150 ლარია;

სადაც ჩინოვნიკს სამ თვეში 40 000 ლარს პრემიას აძლევენ;

სადაც პარლამენტში არალეგიტიმურად ზის 60 არამზადა;

სადაც სამართალი დედიმისისას ჭამს;

სადაც ეტლს მიჯაჭვულ ბავშვებს დახმარება ფსიქოტროპულ წამლებზეც კი არ ყოფნით?

სადაც ვიღაცა იდიოტის შემოღებული კანონებით ცხოვრობენ?

სადაც....

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ სიმართლის მოლოდინში

რა შემზარავ ამბავს ჰყვებიან ემზარ კვიციანის საქმის მოწმეები

დეტალები იმედა მაისურაძის ჩვენებიდან: **„გენერალური შტაბის უფროსმა ლევან ნიკოლაიშვილმა თავდაცვის მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილის სახელით გადმოგვცა ბრძანება, მიწასთან გაგვესწორებინა სოფელი ჩხალთა, „ქვა ქვაზე დაგვედულებინა“. მშვიდობიანი მოსახლეობა თუ არის-მეთქი, ვკითხე. სოფელი დაცლილია, მხოლოდ მეამბოხეები არიანო. როცა ჩხალთის თავზე ფრენა დავიწყე, შევნიშნე, რომ ეზოში თეთრეული იყო გაფენილი. მეორეგან ბავშვი გარბოდა. დედამ ხელში აიყვანა და სახლში სწრაფად შეიყვანა... ვესროლე მხოლოდ კედლებს და უკან გამოვბრუნდი. როგორ მოხდა, რომ ააცდინეო და მეორედ გამიშვეს. დავალება არც ამჯერად შევასრულე. დაჯდომისთანავე დამაპატიმრეს. მექცეოდნენ ისე, როგორც სამხედრო ტყვეებს ექცევიან... იმის აღიარებას მოითხოვდნენ, რომ მე ვიცნობდი ემზარ კვიციანს და ამიტომ არ ვესროლე... არღვლიანის და კვიციანის სახლი მაინც დაგენგრიაო, მედავებოდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ ირაკლი ოქრუაშვილმა სამსახურიდან გამანთავისუფლა, შემიბრალა როგორც გმირი მფრინავის ჯიმი მაისურაძის შვილი და ასე გადავრჩი“.**

ეს შემზარავი ამბავი ემზარ კვიციანის ადვოკატმა **რეზო კახნიაურმა** გაასაჯაროვა და მოითხოვა, რომ 2006 წლის ივლისში კოდორის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის გამო ბრალი დაუმძიმონ მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილს, ასევე უნდა დადგეს მაშინდელი თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილისა და ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი. საჭიროა, დაიწყოს გამოძიება და სხვა პასუხისმგებელი პირებიც გამოიკვეთოს.

ირაკლი გათიაშვილი, რომელიც ბრალდებული იყო, როგორც ემზარ კვიციანის მოკავშირე, ახალმა ხელისუფლებამ პოლიტპატიმრის სტატუსით გაათავისუფლა. დღეს ის აცხადებს, რომ ხელისუფლებამ ორი მნიშვნელოვანი საკითხი უნდა გამოიძიოს: კოდორის მოვლენები და ემზარ კვიციანის საქმე. **„2006 წლის ივლისში სააკაშვილმა ჩაატარა ე. წ. სპეცოპერაცია, განაიარაღა ბატალიონი „მონადირე“ და მოსახლეობა, და ამით ხელ-ფეხი გაუხსნა აფხაზ სეპარატისტებს და რუსებს, შემოჭრილიყვნენ ხეობაში. როგორც იცით, 2008 წლის აგვისტოში, ერთი ტყვიის გავარდის გარეშე დათმეს სტრატეგიული მნიშვნელობის ხეობა. ეს იყო ავანტიურა, დანაშაული საკუთარი მოსახლეობის, სახელმწიფოს წინააღმდეგ. ახლა საქმეში იკვეთება საყურადღებო ახალი ფაქტები, რომელიც უნდა იცოდეს საზოგადოებამ“.**

მფრინავები მაისურაძე და ოსურაული, რომელთაც უნდა შეესრულებინათ ბრძანება და დაებომბათ სოფელი ჩხალთა, დღეს ემზარ კვიციანის საქმეზე მოწმეები არიან. ისინი, როგორც მოღალატეები, გარიყა წინა ხელისუფლებამ და პროფესიულ საქმიანობას ჩამოაცილა. მოწმე ალექსანდრე თურქია, რომელიც იცავდა „მი-24“-ით იმ ვერტმფრენს, საიდანაც სოფლისთვის ცეცხლი უნდა დაეშინათ, ადასტურებს, რომ მასაც ჰქონდა 80 ცალი რაკეტა, 250 ტყვიამფრქვევი და ქვემეხი. ვერ გამოვიყენე, რადგან დაბლიდან გასროლა არ ყოფილა. რაც შეეხება სახლების დარბევას, ის მაისურაძეს და ოსურაულს ჰქონდათ დავალებულიო, აცხადებს ის.

დღეს ამ ბიჭებს გმირებს უწოდებს **ნორა კვიციანი** და მადლობას უხდის იმისთვის, რომ არ დაარბიეს სოფელი, არ ამოწყვიტეს მშვიდობიანი მოსახლეობა.

„როგორ არ რცხვენიათ ნაციონალებს, როცა პოლიტიკურ დევნილად აცხადებენ თავს, პუტინთან კავშირში ამხელენ ხელისუფლებას?! ვის ინტერესებში იყო ხეობის ჩაბარება, თუ არა პუტინის, რომელიც საკაშვილმა უსისხლოდ დაუთმო? ემზარი ამ გეგმას ებრძოდა და ამიტომ გააძევეს ხეობიდან. ამბოხი და უკანონო ფორმირებების შექმნა ედება ბრალად, მაგრამ არავინ სვამს კითხვას, რაში სჭირდებოდა ამბოხი ემზარს? რას მიაღწევდა ამით? მტერს სხვაგან თუ ეძებთ, მტრები ნაციონალური მოძრაობის წევრები არიან!“ — განაცხადა ნორა კვიციანმა.

რეზო კახნიაური ამტკიცებს, რომ ემზარ კვიციანი იყო პატრიოტი, რომელიც სისხლით იცავდა ხეობას და ერთ-ერთი დიდი უსამართლობაა მისი დაპატიმრება. **„მთელ მის ოჯახს ყველაფერი წაართვეს, არაფერი დაუტოვეს. ოთხი თვე დამთავრდა და კიდევ წინასწარ პატიმრობაში იმყოფება, რაც ადამიანის უფლებების აბსოლუტური დარღვევაა. დღესაც ის პროკურორი და გამომძიებელი იძიებენ ამ საქმეს, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში და მათი მხრიდან გრძელდება უკანონო ქმედებები. გამომძიებელი თამაზ პატიაშვილი და პროკურორი თენგიზ ხარებავა დღემდე ემზარ კვიციანზე ზემოქმედებენ. ეს ის ოდიოზური ადამიანები არიან, რომლებიც მთავრობის ნების შემსრულებლები იყვნენ წინა ხელისუფლების დროს. რამდენჯერმე მოვითხოვეთ მათი საქმისთვის აცილება, მაგრამ უშედეგოდ“.**

შეგახსენებთ, რომ ემზარ კვიციანს 9 სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეში ჰქონდა წარდგენილი ბრალი, მაგრამ ყველა ბრალდება მოეხსნა, გარდა ერთისა — ამბოხების მოწყობა სახელმწიფოს წინააღმდეგ. როგორც ხედავთ, სააკაშვილის ბრალეულობა ამ საქმეში აშკარად იკვეთება. ჩნდება ლოგიკური კითხვა — ნუთუ შეიძლებოდა მშვიდობიანი მოსახლეობის გაწირვა თუნდაც ყველაზე დიდი მეამბოხის დასაკავებლად, მით უფრო, რომ ამ დროს ემზარ კვიციანს ხეობა დატოვებული ჰქონდა? დაველოდოთ, დაინტერესდება თუ არა გამოძიება ამ საქმით. ისიც საინტერესოა, ვის მიანდობენ ძიების წარმართვას. თვეები გადის, ხოლო საზოგადოებას არ აქვს მკვეთრი პასუხი: არც ემზარ კვიციანთან, არც მიხეილ სააკაშვილთან და არც სხვა ჯაშუშებთან, მოღალატეებთან თუ მოყვარეებთან დაკავშირებით. ბოლოს და ბოლოს, ის მაინც ხომ უნდა ვიცოდეთ, სად ვეძებოთ მტერი...

თეა მოსია

◎ ვინ როგორ ხედავს

სააკაშვილის ადგილი ციხეშია!..

მიხეილ სააკაშვილისთვის ფორსმაჟორულ სიტუაციაში ბრალის წარდგენა მისაღები იქნებოდა, თუკი ეს მოხდებოდა 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებიდან მალე-ვე, — ამბობს ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი, რომელიც ასევე აღნიშნავს, რომ კანონზე მაღლა არავინ დგას.

„**პროკურატურა** სოლიდურად არ იყო წარმოჩენილი, როცა წლების განმავლობაში ნამზადი საქმე რამდენიმე ფურცელზე ჩამოაყალიბა. არც მაშინ, როცა 11 საათზე ჯერ კიდევ მოწმედ დაბარებული ყოფილი პრეზიდენტი 2 საათზე ბრალდებულად აღიარა. პროკურატურის ასეთი „გაავება“ ბევრად გამართლებული იქნებოდა, ეს რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე რამდენიმე თვეში მომხდარიყო“, — აღნიშნა ექსპერტმა. მისი თქმით, ახალ პოლიტიკურ ძალას მრჩეველი არავინ ჰყავს, ხოლო ნაციონალური მოძრაობა ყოველდღიურად ცდილობს პუტინისა და ივანიშვილის ერთ კონტექსტში მოხსენიებას და ევროპისთვის ისეთი ასოციაციის შექმნას, რომ დღევანდელი ასოციირების ხელშეკრულება საქართველოსთან, ეს ნიშნავს ასოციირებას პუტინთან.

როგორც საზოგადოება, ასევე ექსპერტიც ელოდება პროკურატურიდან ოფიციალური მტკიცებულებების გამოქვეყნებას, რათა სააკაშვილის დამნაშავედ ცნობას სამართლებრივი შეფასება მისცეს. **„სამართლებრივი შეფასება ვერ მოვისმინეთ სააკაშვილის ადვოკატებისგან, ალბათ, მათაც ფიცი აქვთ დადებული, რომ მხოლოდ ივანიშვილზე და პუტინზე ილაპარაკონ. ისინი მხოლოდ მჭახე პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებენ, რაც შეუფერებელია ადვოკატის პროფესიასთან“,** — აღნიშნა სოსო ცისკარიშვილმა.

ექსპერტი ამბობს, რომ ამ ხელისუფლებისთვის ციხეში მოხვედრილი სააკაშვილი ბევრად უფრო დიდი თავისტკივილი იქნება, მაგრამ მასზე ძებნის გამოუცხადებლობაც საერთაშორისო ღირებულებებზე უარის თქმას ნიშნავს. თუ არა სამართლებრივი გზა და საქმეების ობიექტურად გასამართლება, სხვაგვარად როგორ გინდა პასუხი გასცე საზოგადოების კითხვებს, რომელთა ნაწილიც იმისთვისაც კი არის მზად, რომ ის ლიჩნის წესით გაასამართლონ.

სოსო ცისკარიშვილი მიიჩნევს, რომ სააკაშვილისთვის წარდგენილ ბრალდებებს 7 ნოემბერთან და „იმედთან“ დაკავშირებით დამაჯერებლობა აკლია. **„მე იმას როდი ვამბობ, რომ 7 ნოემბერს დანაშაული არ მომხდარა და პასუხი არ უნდა აგონ დამნაშავე პირებმა,** — ამბობს ის, — **მაგრამ მე კარგად მახსოვს ისიც, რომ 2008 წლის იანვარში, ამ მოვლენებიდან ორიოდე თვეში აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ერთგვარი ამნისტია გამოუცხადა სააკაშვილს, როცა ხმების დათვლის დასრულებამდე არჩევნებში გამარჯვება მიულოცა. მახსენდება მეორე საინტერესო ფაქტი: „იმედის“ დარბევის შემდეგ მეთიუ ბრაიზამ, რომელიც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი იყო, თუმცა, „ცეკას ინსპექტორს“ უფრო ჰგავდა, თეთრი სახლიდან ასეთი მესიჯი გამოაგზავნა: თუკი „იმედის“ საინფორმაციო არხი გადაცემებს არ განაახლებს, არჩევნების ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ დარჩებაო. ასე არ მოხდა და არც ლეგიტიმურობა დააყენა ვინმემ დიდი ეჭვის ქვეშ“.**

ამიტომაც დასავლეთის ახლანდელი რეაქცია ექსპერტს არ უკვირს. **„გასაკვირი ის იქნებოდა, რომ ასე არ ყოფილიყო, — აღნიშნა მან, — დღეს ისეთი ვითარება გვაქვს, რომ ასეთი განცხადებები ბუნებრივი გვეჩვენება. სენატორები თავის ტექსტში გამოთქვამენ იმედგაცრუებას, მაგრამ ვერ ამბობენ იმას, რომ პროკურატურის ასეთი ტაქტი რამენაირად შეუთავსებელი იყოს სამართალთან. მე ყურადღება მივაქციე სენატორების აკადემიზმს. მათი შერბილებული ტონი იმითაც არის გამოწვეული, რომ აშშ-ის პროკურორი ახლა თბილისშია, ხოლო მას რაიმე მკვეთრი განცხადება სამართალდარღვევასთან დაკავშირებით არ გაუკეთებია. როგორც ვიცი, პროკურატურაში საერთაშორისო დონის გამომძიებელთა ახალ ჯგუფს ელოდებიან!“**

სოსო ცისკარიშვილი ახალი მთავრობის დამტკიცების საპარლამენტო პროცესსაც შეეხო. ალბათ, საზოგადოებას სირცხვილის გრძნობა აქვს, როცა ასეთ პარლამენტს უყურებს, — ამბობს ექსპერტი. **„ურთიერთბრალდებების რეჟიმში იკარგება დროც და სახსრებიც. ეს პროცესი წააგავდა ორი მტრულად განწყობილი გუნდის პაექრობას, სადაც ეთიკა, ზრდილობა, ოჯახიშვილობა „მიჯირყვნილი“ იყო. კოჰაბიტაცია მიკროფონის წინ ეთაკილება ორივე პოლიტიკურ ძალას, ხოლო კულისებში რა ხდება, ამაზე შეგვიძლია მხოლოდ ვიმკითხაოთ. შეურაცხმყოფელი განცხადებები კოლეგების მიმართ ქცევის კოდექსში არ ჯდება“.** ექსპერტის აზრით, ასეთ დროს მმართველ კოალიციას მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება. ის გამოყოფდა მხოლოდ დავით უსუფაშვილისა და გუბაზ სანიკიძის გამოსვლებს, სადაც საქმიან განცხადებებზე ორიენტირების სურვილი გამოჩნდა. სხვა შემთხვევაში არანაირი განსხვავება არ ჩანდა „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის. ორივე იყო თვითკმაყოფილი და ორივეს ერთნაირად აკლდა თვითკრიტიკა.

ნია ფიფია

ყველა ერთ ქვაბში არ უნდა მოიხარშოს!

საძართველოში, ჩვეულებრივი მოქალაქის ხმის ხელისუფლებამდე მიტანა, სახელმწიფო სტრუქტურებისთვის მოქალაქეთა იდეების, აზრების გაზიარება, რიგი ბიუროკრატიული მიზეზების გამო რომ ძალიან რთულია, ამაზე ბევრი თქმულა და დაწერილა.

არსებობენ სახელმწიფო უწყებები, რომელთა პირდაპირი მოვალეობაა მოქალაქეების ინიციატივების მიღება და ამ ინიციატივების ხელშეწყობა. მათ შორის ერთ-ერთია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი.“ ეს, საქართველოში ერთადერთი სახელმწიფო დაწესებულებაა, რომლის ძირითადი ფუნქციაც საგრანტო კონკურსების ფარგლებში ახალგაზრდული იდეების მიღება, კონკურსის წესით გამარჯვებულთა გამოვლენა და ახალგაზრდული პროექტების დაფინანსებაა.

რამდენად ობიექტურად ხორციელდება კონკურსები, ვინ გამოავლენს გამარჯებულებს, როგორ იხარჯება სახელმწიფო თანხები ფონდში, რას ჰყვებიან ის ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც მიუღიათ ფონდის კონკურსებში მონაწილეობა, ხელმისაწვდომია თუ არა ფონდის ფინანსური, თუ ნარატიული საქმიანობის ამსახველი მასალები ფართო საზოგადოებისთვის — საზოგადოებაში არსებული ამ საინტერესო კითხვებისთვის პასუხების გაცემას „რეპორტიორი“ შეეცადა.

ფონდის საქმიანობის სპეციფიკა ასეთია — ყოველწლიურად ახალგაზრდების ინტერესების, საქართველოს მთავრობისა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სტრატეგიისა და პრიორიტეტული მიმართულებების, ასევე საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის გათვალისწინებით, ხდება პროგრამული მიმართულებების შემუშავება. სწორედ, აღნიშნული მიმართულებების შესაბამისად ხდება წლის განმავლობაში რამდენიმე საგრანტო კონკურსის გამოცხადება და ახალგაზრდული პროექტების მიღება, როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. მიღებული პროექტები კონკურსის წესით ფინანსდება, პროექტებში ჩართული ახალგაზრდები იღებენ შესაბამის ანაზღაურებას და სამუშაო გამოცდილებას. პროექტების დაფინანსების საკითხს წყვეტს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სათათბირო, რომელსაც უშუალოდ მინისტრი ხელმძღვანელობს, სათათბიროს შემადგენლობაში კი სამინისტროსა და ფონდის წარმომადგენლების გარდა, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებიც არიან.

ფონდის ვებ-გვერდზე განთავსებული საჯარო ინფორმაციის თანახმად, 2013-2014 წლებში ახალგაზრდული პროექტები, სხვადასხვა პროგრამული მიმართულების შესაბამისად განხორციელდა. შედეგად, 2013 წელს სამი საგრანტო კონკურსი გამოცხადდა და 60 პროექტი დაფინანსდა, ხოლო მიმდინარე წელს პირველი საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 35 პროექტი, მეორე საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტების განხილვა ახლახან დასრულდა და გამარჯვებულ პროექტებს, როგორც ფონდში გვიდასტურებენ, უახლოეს დღეებში გამოაქვეყნებენ.

2013 წელს ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტებით 300-ზე მეტი ახალგაზრდა დასაქმდა, ხოლო 12 000-მდე ბენეფიციარი უშუალოდ იყო ჩართული პროექტების განხორციელების პროცესში.

„რეპორტიორი“ დაინტერესდა, როგორი იყო სხვადასხვა ახალგაზრდული ორგანიზაციისთვის დაფინანსებული პროექტების საერთო ბიუჯეტთან შედარებით თავად ფონდის ადმინისტრაციული ხარჯი. საჯარო ინფორმაცია ასეთია: **2013 წელს, ფონდის საერთო სახელმწიფო სუბსიდიის მხოლოდ 16.9 % შეადგინა ფონდში დასაქმებულ პირთა თანამდებობრივმა სარგომ; 3.5 % პრემიების რაოდენობამ; 1.2 % არაფინანსურმა აქტივებმა; 13.2 % დაიხარჯა სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაში, ხოლო 65.2 % შეადგინა პროგრამულმა ხარჯმა, ანუ ახალგაზრდული იდეების დასაფინანსებლად გამოყოფილმა თანხამ.**

როგორ იხარჯება სახელმწიფო თანხები „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდში?“

რაც შეეხება 2014 წელს, ივნისის თვის მონაცემებით, რაც ფონდის ვებ-გვერდზეა განთავსებული — საერთო სახელმწიფო სუბსიდიის 20% შეადგინა ფონდში დასაქმებულ პირთა თანამდებობრივმა სარგომ; 1.9 % პრემიების რაოდენობამ; 1.3 % არაფინანსურმა აქტივებმა; 11.7 % დაიხარჯა სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაში, ხოლო 0.8 % სამივლინებო ხარჯში, პროგრამულმა ხარჯმა, კერძოდ, სხვადასხვა ახალგაზრდული ორგანიზაციის მიერ მომზადებული პროექტისა და მის ფარგლებში დასაქმებული ახალგაზრდების ანაზღაურების დასაფინანსებლად გამოყოფილმა თანხამ მხოლოდ პირველი საგრანტო კონკურსის მონაცემებით 64.3 % შეადგინა;

ამრიგად, ცხადი გახდა, რომ ყოველწლიური მილიონიანი ბიუჯეტის 65% იხარჯება სხვადასხვა ახალგაზრდული იდეის დასაფინანსებლად, ამა თუ იმ ორგანიზაციის მიერ წარდგენილი პროექტის განსახორციელებლად. დანარჩენ თანხაში კი, ყველა სხვა ორგანიზაციული თუ ადმინისტრაციული ხარჯია გაერთიანებული — დასაქმებულ პირთა ხელფასებისა და პრემიების ჩათვლით.

ვინაიდან, სახელმწიფო ბიუჯეტის ყველაზე დიდი ნაწილი არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტების დასაფინანსებლად იხარჯება, ჩვენც ამ საკითხით დავინტერესდით და შევეცადეთ, გაგვერკვია — რამდენად ობიექტურია კონკურსების პროცედურები, ვინ გამოავლენს გამარჯვებულ ორგანიზაციებს და რას ჰყვებიან ის ახალგაზრდები, რომელთა პროექტებიც ფონდში ვერ დაფინანსდა.

ვინ გამოავლენს გამარჯვებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს?

საგრანტო კონკურსებში წარმოდგენილ პროექტებს განიხილავს არა „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი,“ არამედ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სათათბირო, რომელსაც მინისტრი **ლევან ყიფშიანი** ხელმძღვანელობს.

სათათბირო 9 წევრისგან შედგება: აქ, მინისტრთან ერთად, ფონდისა და სამინისტროს სხვა წარმომადგენლებიც არიან. მთავარი სხვა რამაა: სათათბიროს შემადგენლობაშია 3 სხვადასხვა ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელიც. მათ შორის, ერთ-ერთია უსინათლოთა ასოციაციის წარმომადგენელი **ლაშა ცაიშვილიც**. კითხვაზე, თუ როგორ შეარჩევენ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს, ფონდში გვპასუხობენ, რომ ისინი მინისტრის მიერ 1 წლის ვადით ინიშნებიან და ახალგაზრდულ სფეროში საქმიანობის გამოცდილების მიხედვით შეირჩევიან.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი — სათათბიროს წევრს აქვს უფლება მისი ორგანიზაციის სახელითაც წარადგინოს პროექტი! აღნიშნულიდან გამომდინარე - ჩვენ ფონდის დირექტორს **ირაკლი ჟორჟოლიანს** ვესაუბრეთ:

— ირაკლი, გამოდის, რომ არსებობენ პრივილეგირებული არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომლებიც ფლობენ გაცილებით მეტ ინფორმაციას, ვიდრე ჩვეულებრივი, ვთქვათ, რომელიმე რეგიონში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია. ამ შემთხვევაში, რამდენად ობიექტური გამოდის კონკურსი და რამდენად უზრუნველყოფს ფონდი თანაბარი პირობების შექმნას ყველა კონკურსანტისთვის?

— გეთანხმებით, რომ სათათბიროს წევრის წარმომდგენ არასამთავრობო ორგანიზაციასაც აქვს ჩვენს კონკურსებში მონაწილეობის უფლება, მას ამის უფლებას კანონი აძლევს, თუმცა, ასეთ შემთხვევაში თავად ეს წევრი კენჭისყრაში არ მონაწილეობს, რაც შეეხება ობიექტურობას, ვინაიდან, ეს წევრი კენჭისყრის პროცესში არ მონაწილეობს, ვფიქრობ, პრობლემაც არ დგას.

იმაშიც გეთანხმებით, რომ ყველა ორგანიზაციას არ აქვს კომუნიკაციის თანაბარი შესაძლებლობა ფონდთან, თუმცა, ეს არ ხდება ფონდის მიზეზით. ამას სხვა ბევრი ობიექტური მიზეზი აქვს: თუნდაც ის, რომ, ვთქვათ, ზემო აჭარაში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელებს არ შეუძლიათ ისეთი ინტენსივობით დაესწრონ წინასაკონკურსოდ თუ კონკურსის მიმდინარეობის დროს ფონდში ჩატარებულ საკონსულტაციო შეხვედრებს, როგორც ამას მოახერხებს დედაქალაქში მოქმედი ორგანიზაცია. რადგან ფონდი პროექტის დაფინანსებამდე, ყველა დაინტერესებული პირის რეგიონებიდან ტრანსპორტირების ხარჯებს ფიზიკურად ვერ აანაზღაურებს, ასეთ შემთხვევაში ჩვენ წლის მანძილზე პროექტების დასაფინანსებლადაც არ გვეყოფა თანხები, ადმინისტრაციული ხარჯი ხომ ისედაც მიზერულია ჩვენი უწყების შემთხვევაში. ფაქტობრივად, ორგანიზაციის „შენახვა“, ხელფასების გაცემა, მომსახურების შესყიდვა, სატრანსპორტო, საკომუნიკაციო თუ კომუნალური ხარჯები 30-35 პროცენტია, რაც იშვიათად დაბალი მაჩვენებელია ნებისმიერი სახელმწიფო უწყებისთვის, ჩვენ ვცდილობთ სახელმწიფოს მიერ ფონდისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი მაქსიმალურად მოვახმაროთ ახალგაზრდების განვითარებას და მათი პროექტების მხარდაჭერას.

იმისთვის, რომ ყველა არასამთავრობო ორგანიზაციისთვის მეტ-ნაკლებად თანაბარი პირობები შექმნილიყო, ჩვენ რამდენიმე ღონისძიებას ვახორციელებთ:

ფონდში წინა წლებისგან განსხვავებით პროექტების წარდგენა ხდება ელექტრონულად, ანუ აღარ არის აუცილებელი რეგიონიდან წარმოდგენილი პროექტი დედაქალაქში ხელით ჩამოიტანოთ და ფონდში მოიტანოთ. ამან ბევრი რამ გაამარტივა: ნებისმიერი რეგიონიდან პროექტის შევსება ხდება ფონდის ვებ-გვერდზე და ის ისევე შემოდის, როგორც დედაქალაქიდან წარმოდგენილი პროექტები. სწორედ ამ მეთოდით მაგალითად, 2014 წლის პირველ კონკურსში პროექტები მივიღეთ ისტორიული ჰერეთიდან, სტეფანწმინდიდან, გურიიდან, კახეთიდან, სამეგრელოდან, იმერეთიდან და ა.შ. რა თქმა უნდა, მივიღეთ თბილისიდანაც.

ჩვენ ვცდილობთ ინფორმაცია გავავრცელოთ თანაბრად. კონსულტაციებს ვუწევთ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ნებისმიერი საკომუნიკაციო საშუალებით: გვაქვს ადგილზე, ფონდში საკონსულტაციო საათები, ვინც აქ მოსვლას ვერ ახერხებს, მათთვის გვაქვს სატელეფონო ან ონლაინ (სკაიპი, სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტა) საკონსულტაციო საათები. რამდენიმე თვის წინათ ფონდმა საქართველოს აბსოლუტურად ყველა მუნიციპალიტეტში გამართა ადგილობრივ ახალგაზრდებთან შეხვედრები. ინფორმაციას აქტიურად ვავრცელებთ მედიითაც. თქვენ შეგიძლიათ შეადაროთ: **ფონდი 2000 წლიდან ფუნქციონირებს, ამ დროს ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში ფონდის საგრანტო კონკურსების შესახებ იმდენი ინფორმაცია გავრცელდა, რომ მინიმუმ 100 პროცენტით აჭარბებს მთელი დანარჩენი 12 წლის მანძილზე მედიაში ფონდის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას, ფონდი ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო უწყებაა გაშუქების სიხშირის მიხედვით.**

აქედან გამომდინარე, ყველაფერი გეომეტრიული პროგრესიით იზრდება - დიდი რაოდენობით ინფორმაციის გავრცელებას მოჰყვება დაინტერესებული ახალ-

გაზრდების ზრდა, დაინტერესების გაზრდა ხელს უწყობს ფონდში წარმოდგენილი პროექტების ზრდასაც, აქ ჩვენ ისიც კარგად გვესმის, რომ ფონდი ყველა წარმოდგენილ პროექტს ვერ დააფინანსებს და კმაყოფილებასთან ერთად ბევრი იქნება ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციაც, რომელიც დაფინანსებას ვერ მიიღებს, რადგან ყველაფერი შედარებითია და საუკეთესო პროექტები იმარჯვებს, ამიტომ იქნებიან ისეთებიც, რომლებსაც გული დასწყდებათ ან დამარცხების გამო, იქნებიან უკმაყოფილონი. ასეთ ორგანიზაციებს გვინდა მოვუწოდოთ, რომ ერთხელ დამარცხების გამო ნუ დაასრულებენ ჩვენთან ურთიერთობას, რადგან პროექტების წარმოდგენა მომდევნო კონკურსებშიც შეუძლიათ, ასეთი შემთხვევა ბევრი ყოფილა, როცა მეორედ ან მესამედ მონაწილეობის დროს გაუმარჯვია ორგანიზაციას კონკურსში.

— უკმაყოფილებაზე საუბრობდით, ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელმაც საგრანტო კონკურსებში ვერ გაიმარჯვა, აღნიშნავს, რომ ფონდი არ ასაბუთებს პასუხს, თუ რატომ არ მიენიჭა უპირატესობა მათ პროექტს.

— ეს მეც მომისმენია... როდესაც საგრანტო კონკურსი სრულდება, ფონდი მონაწილე ორგანიზაციებს უგზავნის წერილს, რომ მათ გაიმარჯვეს ან ვერ გაიმარჯვეს კონკურსში. თქვენ თუ მოიძიებთ ინფორმაციას სხვა ფონდების შემთხვევაშიც, ძირითადად, ასე ხდება ხოლმე. ისინი ატყობინებენ მონაწილეებს კონკურსის შედეგს, ჩვენ შემთხვევაში კი მათ ვწერთ, რომ თუ მათ სჭირდებათ დეტალური ინფორმაცია, უნდა მისწერონ სამინისტროს სათათბიროს აპარატს, სწორედ სათათბირო იღებს გადაწყვეტილებას პროექტების დაფინანსების შესახებ, სათათბიროს ერთ-ერთი წევრი მეც ვარ და მეც ვინაწილებ ამ პასუხისმგებლობას. განხილვის პროცესში ჩვენ სათითაოდ ვმსჯელობთ თითოეული პროექტის დადებით ან უარყოფით მხარეებზე და ეს იწერება სხდომის ოქმში, რომელიც საჯაროა და ნებისმიერ ორგანიზაციას შეუძლია მისი ნახვა. თუ ორგანიზაცია დაინტერესდება ამ ინფორმაციით, მას შეუძლია თავად წაიკითხოს ოქმი ან მისწეროს სათათბიროს, რომელიც კანონით განსაზღვრულ ვადაში მოამზადებს თითოეული ორგანიზაციისთვის ინდივიდუალურ დ ოფიციალურ პასუხს — თუ რატომ ვერ დაფინანსდა მათი პროექტი.

„რეპორტიორმა“ ფონდის დირექტორის მიერ მოწოდებული ინფორმაცია გადააგზავნა. ჩვენ წარმოგიდგენთ ფონდის პასუხებს, რომელიც ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას ეგზავნება, პროექტის დაწუნების შემთხვევაში და შედარებისთვის ასევე წარმოგიდგენთ სხვა ფონდების მიერ გაგზავნილ პასუხებს არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, ბუნებრივია, პირადი მონაცემების დაფარვით:

ჩვენ ასევე დავუკავშირდით ფონდის კონკურსებში მონაწილე რამდენიმე ორგანიზაციას, შევარჩიეთ არა გამარჯვებული (რომლებიც, ისედაც კმაყოფილნი იქნებიან ფონდთან თანამშრომლობით), არამედ ძირითადად, დამარცხებული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

თამთა გრიგოლია „ახალგაზრდა ხელოვანთა ასოციაციის“ ხელმძღვანელია. მის მიერ წარდგენილმა პროექტმა 2014 წლის პირველ საგრანტო კონკურსში ვერ გაიმარჯვა, თუმცა, მეორე საგრანტო კონკურსში, ცალკეული კორექტივების შეტანის შემდეგ დაფინანსდა.

„მე კარგად მესმის, რომ ეს არის კონკურსი და ყველა ვერ ხდება გამარჯვებული, თუმცა, მიმაჩნდა, რომ ჩემი პროექტი იყო საინტერესო, ვნახე სათათბიროს სხდომის ოქმიც, რომლის საფუძველზეც ჩემი პროექტი ვერ დაფინანსდა, როდესაც კონკურსი მეორედ გამოცხადდა, ისევ ვცადე ბედი. მაგრამ ამჯერად გავიარე კონსულტაციები ფონდის წარმომადგენლებთან და შევეცადე, ყველა ის ხარვეზი გამომესწორებინა, რომელიც, შესაძლოა, პროექტის დაწუნების საბაბი გამხდარიყო. მიხარია, რომ პროექტი დაფინანსდა. მართალია, მოთხოვნილი თანხა დაკორექტირდა, მაგრამ ეს ჩემთან და პროექტის ფინანსისტთან კონსულტაციის და შეთანხმების საფუძველზე მოხდა, იყო ხარჯები, რომელიც სათათბირომ დაუსაბუთებლად მიიჩნია, ეს ხარჯები შემცირდა და საბოლოოდ, მივიღეთ პროექტის ოპტიმალური სახე, რომელიც ორივე მხარისთვის მისაღები აღმოჩნდა. ჩვენი პროექტის განხორციელება უკვე დაიწყო“, — აღნიშნა თამთა გრიგოლიამ.

ძეთი ლომინეიშვილი, ასევე, ერთ-ერთი კონკურსანტი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელია, რომელმაც პროექტი მეორე საგრანტო კონკურსზე სოციალური მეწარმეობის მიმართულებით შეიტანა. პროექტი არ დაფინანსდა.

„პროექტის წარდგენამდე გავიარე დეტალური კონსულტაცია, პროექტი მაქსიმალურად სრულყოფილად დავწერე, რა თქმა უნდა, გული დამწყდა, რომ ვერ დაფინანსდა. სასურველი იქნებოდა, უფრო სრულყოფილი პასუხი მომეღო, თუ რა კრიტერიუმებით დაიწუნეს პროექტი, თუმცა, ვაპირებ წერილობით მივმართო სათათბიროს და მივიღო საჯარო ინფორმაცია ჩემი პროექტის უარყოფითი მხარეების შესახებ, რადგან მე ისევ ვაპირებ პროექტის წარდგენას და მინდა, წელს დაშვებული შეცდომები გავითვალისწინო“, — განაცხადა ქეთი ლომინეიშვილმა.

არასამთავრობო ორგანიზაციას „ადამიანი, კანონი, თავისუფლება“, ფონდმა პროექტი პირველ ჯერზე დაუფინანსა, ხოლო შემდგომ ეტაპზე ორგანიზაციამ ფონდისგან დაფინანსება ვერ მიიღო.

„ფონდმა ერთი პროექტი დაგვიფინანსა, თუმცა, შემდეგ შეტანილი პროექტი არ დაფინანსა, თუმცა, ფონდთან იდეალური კომუნიკაცია გვქონდა და გვაქვს. პროექტის მიმდინარეობისას, გამოყოფილი იყო მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც გვამოწმებდა, როგორ ვახორციელებდით აღნიშნულ პროექტს. ასევე, ყოველთვის, კანონით დადგენილ ვადებში გვაწვდიდნენ საჯარო ინფორმაციას. ზოგადად, მიმაჩნია, რომ ობიექტურად ტარდება კონკურსები და მთლიანად ახალგაზრდებზე არიან ორიენტირებულნი“, — აღნიშნა ორგანიზაციის ხელმძღვანელმა **გიორგი ჭულუხაძემ** „რეპორტიორთან“ საუბრისას.

ლენტეხის მკვიდრმა **ლაშა ონიანმა** საგრანტო კონკურსის შესახებ ინფორმაცია ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერით შეიტყო. პროექტი ელექტრონულად გამოაგზავნა და პირველივე ჯერზე გაიმარჯვა.

„გამოვაგზავნე პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა ლენტეხში ქარსაფარი ზოლის გაშენებას. ყველა აქაური ახალგაზრდა თანახმა იყო, პროექტში დაგვხმარებოდა. მართლაც დიდი და პატარა ერთად ვაშენებდით ლენტეხის ხეივანს. ღონისძიებაზე მინისტრი ლევან ყიფიანი და ფონდის დირექტორი ირაკლი ჟორჟოლიანიც გვეწვია. არ ველოდით არც გამარჯვებას, მით უმეტეს, არც ამხელა ყურადღებას. პროექტის განხორციელების პროცესში ფონდის თანამშრომლები გვეხმარებოდნენ, რომ ანგარიშები სწორად დაგვეწერა. ჩვენ პროექტის განხორციელების გამოცდილება აქამდე არ გვქონია და მიხარია, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა“, — აცხადებს ონიანი.

„თავისუფალი ასოციაციის“ ჟურნალისტი **ლალი შენგელია** „რეპორტიორთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ ფონდთან ურთიერთობისას, საჯარო ინფორმაციის მიღების პროცესში არანაირი დაბრკოლება არ შექმნია.

ამრიგად, მასალის მზადებისას, ცხადი გახდა, რომ სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი“ საუკეთესო საშუალებაა საზოგადოებისა და ხელისუფლების იდეების გაერთიანების შედეგად სასარგებლო საქმიანობის განხორციელებისთვის. ალბათ, ამიტომაცაა ფონდის საქმიანობის მიმართ საზოგადოების მხრიდან, განსაკუთრებით, კი არასამთავრობო სექტორის მხრიდან ასე მკვეთრი და მზარდი ინტერესი.

2013 წელს ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში 300-მდე ახალგაზრდა დასაქმდა, რაც საქართველოს შრომის ბაზრის პრობლემების გათვალისწინებით, უდავოდ დიდი რიცხვია.

ჩვენი გამოცდილებით, ისიც დავადგინეთ, რომ ფონდიდან ინფორმაციის ოპერატიულად მიღება, ფონდის წარმომადგენლებთან შეხვედრა და სხვადასხვა საკითხის განხილვა პრობლემას ნამდვილად არ წარმოადგენს. იმედია, ფონდის ღია მუშაობის ეს პრინციპი გაზრდილი ინტერესის შესაბამისად არ შეიცვლება.

ალბათ, ზემოაღნიშნული მიზეზთა ჩამონათვალის გამო მაინც უნდა მოხდეს სახელმწიფო სტრუქტურების დიფერენცირება და ძველი ქართული გამოთქმისა არ იყოს — „ყველა ერთ ქვაბში არ უნდა მოიხარშოს“.

დიანა ლიპარტელიანი

◎ სახელმწიფო ბიუჯეტი

არც შოვნის შნო გვაქვს, არც — ხარჯვის?!.

კაცი ყოველთვის საკუთარი თავის იმედად უნდა იყო და სხვისგან ხელის გამართვის იმედით გეგმები არ უნდა დაისახო, ეს ანბანური ჭეშმარიტება კიდევ ერთხელ დადასტურდა, როცა საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 2014 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საბოლოო მონაცემები გამოაქვეყნა.

ბიჯეტის შესრულებასთან შექმნილი ვითარება კარგა ხნის წინათაც იყო გარკვეული, რის შესახებ ვწერდით კიდეც. ამის მიზეზი მაშინაც დავასახელეთ — ეს, არსებითად, გრანტებისა და პარტნიორების მიერ საკრედიტო ხაზების გახსნის გეგმის არასრულად, სანახევროდ შესრულებითაა გამოწვეული. აღნიშნული ინდიკატორი პარამეტრები განვლილ ექვს თვეში, შესაბამისად, 47 და 53 პროცენტით შესრულდა. ასეთი ჩავარდნის პირობებში, იმის მიუხედავად, რომ ისეთი უმნიშვნელოვანესი პარამეტრი, როგორიცაა საგადასახადო შემოსავალი, გადაჭარბებით შესრულდა, წლის პირველი ნახევრის ბიუჯეტის შესრულებას მაინც 126 მილიონი ლარი დააკლდა. შეუსრულებელია ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილიც, რაც დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების დროებით შეჩერებითაა განპირობებული. კერძოდ, რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ წლის პირველ ნახევრში 102 მილიონ ლარზე მეტი იყო გათვალისწინებული, თუმცა, შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ მხოლოდ დაახლოებით 43 მილიონი ლარი შეადგინა.

რაც არ მოგვცეს, იმას, ცხადია, ვერ დავხარჯავდით, მაგრამ, რაც გვაქვს, იმას რატომღა ვერ ვითვისებთ?

წლის პირველ ნახევრში ბიუჯეტის **საშემოსავლო** გადასახადის პარამეტრი თითქმის 757 მილიონი ლარია, შესრულებამ კი 808 მილიონ ლარს გადააჭარბა, რაც საგეგმო მაჩვენებლის 6 პროცენტზე მეტით გადაჭარბებას ნიშნავს.

რაც შეეხება **მოგების** გადასახადს, საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტს დაახლოებით 471 მილიონი ლარი უნდა მიეღო, რეალურად კი მხოლოდ 323 მილიონ ლარზე ოდნავ მეტი შევიდა, რაც საგეგმო პარამეტრის 91,8 პროცენტია. წლევანდელი ბიუჯეტის 6 თვის **სხვა შემოსავლების მუხლიც** მხოლოდ 79 პროცენტით შესრულდა, რაც 160 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს.

სახელმწიფო ბიუჯეტის ჩავარდნასა და სახელმწიფო პროგრამების შეუსრულებლობაზე პასუხისმგებელი, ცხადია, მთავრობაა. ყველას აინტერესებს, რატომ ვერ ხერხდება არსებული საბიუჯეტო სახსრების ჯეროვნად ათვისება, რაც ცოტათი მაინც წინ წაწევდა ქვეყნის ეკონომიკას და გაჭირვებულ მოსახლეობას უმუშევრობის უმძიმეს ტვირთს ოდნავ მაინც შეუმსუბუქებდა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ წლევანდელი სახელმწიფო ბიუჯეტის შეუსრულებლობის, დეფიციტის წარმოშობის თაობაზე ადრეც ვწერდით, თუმცა, მაშინ, საექსპერტო შეფასებებით, გარღვევა თითქოს110 მილიონი ლარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ საბოლოო ანგარიშით, უფრო ცუდი შედეგი მივიღეთ. ამაზე პასუხისმგებელი, ცხადია, მთავრობაა, კერძოდ, ფინანსთა სამინისტრო, რასთანაც დაკავშირებით იქ, როგორც ცნობილი გახდა, ასეთი განცხადება გაკეთდა!

„გრანტებისა და გრძელვადიანი საინვესტიციო კრედიტების მიზნობრიობა და განხორციელების სტანდარტები დარეგულირებულია დონორსა და სახელმწიფოს შორის გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებით, ხოლო მიზნობრივად დაფინანსებული პროექტებისთვის თანხების ხარჯვა ხდება მათი შემსრულებელი ორგანიზაციების მიერ“.

რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ განცხადებიდან? მისი ზოგადი ფორმიდან გამომდინარე, რაც ისედაც დიდი ხნის წინათ ცნობილი ამბების გარდა, არც არაფრის, რადგან რაიმე კონკრეტული გარემოება დასახელებული არ არის. უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების თაობაზე მასალებში ადრეც აღვნიშნავდით არაერთი ექსპერტის აზრს იმის თაობაზე, რომ მისი დაგეგმვისას ავტორები სხვადასხვა პოზიციებით ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიკურ პარამეტრებს ჯეროვნად ვერ აფასებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია, რომ ზოგი მუხლი რეგულარულად საგრძნობი გადაჭარბებით სრულდებოდეს, ზოგი კი უსაშველოდ ვარდებოდეს. ეს ამბავი, ასე ვთქვათ, ერჯერადი რომ იყოს, ყველაფრის ფორსმაჟორით ახსნა იქნებოდა შესაძლებელი, მაგრამ როცა ტენდენცია გარკვეულ მდგრადობას იძენს, ეს გარკვეულ ეჭვებს ბადებს. საქმე ისაა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის წლის პირველი ნახევრის მთელი რიგი ინდიკატორული პარამეტრის შესრულება მუდამ ჭირს, ფინანსთა სამინისტროსგან ამის მიზეზების განმარტება კი, უკეთეს შემთხვევაში, ზოგადი ფრაზების ბურუსშია გახვეული. არადა, სწორედ დიდი თუ საშულო სახელმწიფო პროექტების შესრულებაზეა დამოკიდებული ისეთი უმწვავესი პრობლემის შემსუბუქება, როგორიცაა უმუშევრობა, რომელზეც სიამის ტყუპივით მიბმულია მოსახლეობის ისედაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ყოფის გამოკეთება.

ყველაფერი იქნებ ძალიან მძაფრადაც არ უნდა აღვიქვათ, მაგრამ ამის საშუალებას თავად ბიუჯეტის შეუსრულებელი მუხლების სახელწოდებები არ გვაძლევს: ვთქვათ, როცა გრანტებისა და გრძელვადიანი კრედიტების შემოდინება ქვეყანაში მიზეზთა გამო ფერხდება, გასაგებია — ფული არ არის, მაგრამ, როცა გამოყოფილი სახსრების ათვისება სრულად არ ხდება, ბუნებრივია იმის შეგრძნება, რომ „დანიის სამეფოში“ რაღაც რიგზე არაა!

ოთარ ტურაბელიძე

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი კრედიტის/სესხის №IDA5245-GE; IBRD 8263-GE

პროექტის №P130413

დავალების სახელწოდება: კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტის ფარგლებში (EWHIP-4)

კონტრაქტი/RFP №EWHIP-4/CS/ICS-02
საიდენტიფიკაციო № EWHIP-4/CS/ICS-02

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტისთვის**. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ ინდივიდუალურ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი მომსახურების გასაწევად: **„კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტის ფარგლებში (EWHIP-4)".**

აღნიშნული დავალების მიზნების მისაღწევად, კონსულტანტმა უნდა განახორციელოს შემდეგი:

- ინფორმაციის გაზიარების არსებული პრაქტიკის, კომუნიკაციის არსებული პოლიტიკისა და საგზაო სექტორთან დაკავშირებული პროგრამების შეფასება;
- ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე საკომუნიკაციო ღონისძიებების განხორციელებასა და საკომუნიკაციო მასალების მომზადებასთან, წინასწარ გამოცდასა და შემუშავებასთან დაკავშირებული არსებული ორგანიზაციული პოტენციალის შეფასება;
- საავტომობილო გზების დეპარტამენტთან და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობა რათა, ზემოხსენებული შეფასების გათვალისწინებით, დადგინდეს შიდა და გარე კომუნიკაციებში არსებული ხარვეზები და განისაზღვროს საკომუნიკაციო მოთხოვნები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს ნაციონალურ და ადგილობრივ დონეზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას:
  - საგზაო პროექტების მიმდინარეობისა და ახალი აქტივობების შესახებ ინფორმაციის უწყვეტობის მხარდაჭერა;
  - საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდისკენ მიმართული ქმედებების მხარდაჭერა;
  - გამოხმაურების მექანიზმის შექმნა, საზოგადოების მხრიდან კომენტარების მიღება და პასუხის გაცემა; და
  - საგანგებო სიტუაციებში საკომუნიკაციო პროტოკოლების შემუშავება.
- აღნიშნული საკომუნიკაციო მოთხოვნების შესასრულებლად მიდგომების განსაზღვრა და სრულყოფილ და კოორდინირებულ სტრატეგიაში დეტალურად წარმოდგენა.
- მოწინავე ქვეყნებში განხორციელებული საერთაშორისო აპრობირებული პრაქტიკის საავტომობილო გზების დეპარტამენტთან/სამინისტროსთან გაზიარება მაგალითების სახით.
- აღნიშნული დავალებისთვის შესაფერისი სხვადასხვა ტიპის მედია საშუალებების და მედია პროდუქტების (ბეჭდური/ელექტრონული/ვებ, აუდიო/ვიდეო) შემოთავაზება.
- საჭირო რესურსების (ადამიანური და ფინანსური) და განხორციელების საორიენტაციო ბიუჯეტის განსაზღვრა.
- დადასტურებული კომუნიკაციის სტრატეგიის განსახორციელებლად დეტალური გეგმის მომზადება.

შერჩევის კრიტერიუმებია:

- ზოგადი გამოცდილება;
- სპეციფიკური გამოცდილება;

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 3 თვე.

საკონსულტაციო მომსახურება გათვალისწინებულია საერთაშორისო ინდივიდუალური კონსულტანტისთვის (კომუნიკაციის სპეციალისტი). კონსულტანტს უნდა ჰქონდეს მინიმუმ 10 წლიანი პროფესიული გამოცდილება, მათ შორის დადასტურებული გამოცდილება კომუნიკაციის სტრატეგიის დაგეგმვისთვის, შესრულებისა და მონიტორინგისთვის აუცილებელი მთელი რიგი კომუნიკაციის მიდგომების, მექანიზმებისა და მეთოდოლოგიის კუთხით, სასურველია საავტომობილო გზების უწყებისათვის კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავების ანალოგიური გამოცდილება. ევროპული კონტექსტის ცოდნა აუცილებელია. კანდიდატი მაღალ დონეზე უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას.

<u>შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.</u>

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – "*მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]*" (2011 წლის იანვრის გამოცემა, "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი პარტნიორების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მოსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევა მოხდება მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების (2004 წლის გამოცემა, განახლებული 2011 წლის იანვარში) V ნაწილით -"ინდივიდუალური კონსულტანტების შერჩევა - მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება" - განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო საათებში 10:00-დან 18:00 საათამდე.

ინტერესის გამოხატვის და მასზე თანდართული შრომითი ბიოგრაფიებისა და სხვა შესაბამისი ინფორმაციის ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2014 წლის 13 აგვისტოს 17:00 საათისა**.

სახელი: ვახტანგ რაზმაძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტმობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი

მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო
ტელ: +995 322 37-05-08 დამ. 348
ფაქსი: +995 322 31-30-34
ელ. ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia

Forth East-West Highway Improvement Project
Credit/Loan No. IDA5245-GE; IBRD 8263-GE
Project No. P130413

Assignment Title: Development of a Communication Strategy under Forth East-West Highway Improvement Project (EWHIP-4)

Contract/RFP No: EWHIP-4/CS/ICS-02
Reference No. EWHIP-4/CS/ICS-02

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Forth East-West Highway Improvement Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible individual consultants to express their interest in providing the following services: **"**Development of a Communication Strategy under Forth East-West Highway Improvement Project (EWHIP-4)**".**

To achieve the objective of this assignment, the Consultant is expected to:

Evaluate current information sharing practices, existing communication policies and programs related to the road sector;

Assess the existing organizational capacity to carry out communication activities and prepare, pretest, produce the communications materials at central and local levels;

Work closely with the RD and MRDI to define, in light of the previous assessment, the gaps in internal and external communication and identify the communication requirements that must be met at the national and local levels:

- o to support continuing information on road projects' progress and new developments;
- o to support awareness-raising activities;
- o to create a feedback mechanism, receiving and answering public comments; and
- o to develop emergency communication protocols.

Identify and detail approaches for fulfilling these communication requirements in a comprehensive and coordinated strategy.

Share with RD/MRDI examples of international good practices as implemented in advanced countries;

Propose the use of various types of media and media products (in print/electronic/web, audio/video) relevant to the assignment;

Define the resources needed (human and financial) and estimated implementation budget; and

Prepare a detailed implementation plan for the approved communication strategy

The selection criteria are:

General experience;

Similar experience.

The estimated duration of assignment is 3 months.

The Consulting Services are for an international Individual Consultant (Communication Specialist). The Consultant shall have a minimum of 10 years of professional experience, of which proven experience in full range of communications approaches, tools and methodologies essential to planning, executing, and monitoring communications strategies, preferably with similar experience in designing a communication strategy for a road agency. Knowledge and familiarity with the European context are required. The candidate should be highly proficient in English.

<u>Note: The Road Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.</u>

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *<u>Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers</u>*, January 2011 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

An individual consultant will be selected in accordance with the procedures set out in Section V: "Selection of Individual Consultants" of the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants by World Bank Borrowers (May 2004 edition, revised January 2011).

Interested consultants may obtain further information at the address below during office hours 10:00 to 18:00 hours.

Expressions of Interest accompanied by CVs and other relevant information electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than **August 13, 2014, 17:00 hours.**

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Unit of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Tel: +995-322-37-05-08, ext. 348
Fax: +995-322-31-30-34
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტი**

განმახორციელებელი სააგენტო: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

ქვეყანა: **საქართველო**
პროექტის ნომერი: **P122204**

გამარჯვებული კომპანია: **შ.პ.ს. "ტყეპროექტი"**
მისამართი: **საქართველო, თბილისი, თემქა, მე-4 მ/რ, მე-5 კორპ., ბინა 95**
კონტრაქტის ხელმოწერის თარიღი: **17 ივლისი, 2014**
შესყიდვის მეთოდი: **ერთ პირთან მოლაპარაკება**
ღირებულება: **3 000.00 ლარი**
ხანგრძლივობა: **19.07.2014 – 02.08.2014**
კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **მცხეთა-შიო მღვიმის საავტომობილო გზის მონაკვეთის კუთვნილებაში არსებული ნარგავების (ხეების) აღწერა**

Contract Award Notification

Project Name: **Second Secondary and Local Roads Project (SLRP II)**

The project implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**

Country: **Georgia**
Project Number: **P122204**

Awarded Firm: **Tkeproeqti Ltd.**
Address: **Temka, IV m/region, Building V, apart. 95, Tbilisi, Georgia,**
Contract signature date: **July 17, 2014**
Method of Procurement/Selection: **Single Source Selection**
Price: **Gel 3 000.00**
Duration: **July 19, 2014 – August 02, 2014**
Summary scope of contract: **Forest inventory/evaluation along right-of way of Mtskheta-Shio Mgvime Road Section**

◎ აღმოჩენა

წერეთელმა განძი დაგვიტოვა...

ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მიხეილ (მიხაკო) წერეთლის ახალი ხელნაწერები აღმოაჩინეს



ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ქართველი მეცნიერის, პოლიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის მიხეილ (მიხაკო) წერეთლის ახლად აღმოჩენილ ხელნაწერთა პრეზენტაცია მოეწყო.

ღონისძიებას ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის უფროსი ირაკლი ღარიბაშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე გიორგი შერვაშიძე, მიხაკო წერეთლის მემკვიდრეობის შემსწავლელი კომისიის წევრი ლევან გორდეზიანი, თსუ-ს რექტორის მოადგილე მარინე ჩიტაშვილი და სხვა სტუმრები დაესწრნენ. მათ აღმოჩენილი ხელნაწერების მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის უფროსმა აღნიშნა, ბიბლიოთეკაში ორი კვირის წინ მიხაკო წერეთლის ხელნაწერთა 15 ტომი აღმოჩნდა. მისივე თქმით, აღმოჩენილი დღემდე უცნობი შრომები თითქმის არსად არის გამოქვეყნებული და ბიბლიოგრაფიებშიც კი არ არის შესული.

„ეს არის უდიდესი დონის აღმოჩენა. რატომ აღმოჩნდა ჩვენს ბიბლიოთეკაში – ესეც კი უცნობია, რადგან საბიბლიოთეკო წესით არ არის აღრიცხული. ვიპოვეთ ერთ-ერთ სათავსოში, სადაც სხვა წიგნებიც არის. რა კავშირი აქვს ამ წიგნებთან ესეც გაუგებარია. მაგრამ ძალიან მნიშნელოვანია ასეთი დიდი აღმოჩენა, რადგან მეცნიერების განვითარებას დიდად შეუწყობს ხელს“, – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

აღმოჩენას საინტერესოდ და მეცნიერებისთვის ფასდაუდებლად აფასებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე გიორგი შერვაშიძე. მან ჟურნალისტებთან მიხაკო წერეთლის მოღვაწეობაზე დეტალურად ისაუბრა.

„ძალიან საინტერესო მასალები აღმოჩნდა. ეს შეეხება შუმერული და ქართული ენის შედარებას. ეს არის აქადური ენის შედარება. ბევრი რამ ჯერ კიდევ გასაშიფრია და ამაზე მეცნიერები იმუშავებენ. გარდა მეცნიერული ღვაწლისა, ბატონ მიხაკოს ფასდაუდებელი შრომა აქვს დადებული საქართველოს გათავისუფლების საქმეში“, – აღნიშნა გიორგი შერვაშიძემ.



ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში აღმოჩენილი 15 ტომი მოიცავს ოთხი გამოუქვეყნებელი სამეცნიერო ნაშრომის ხელნაწერსა და ერთი გამოქვეყნებული ნაშრომის სამუშაო ვერსიის არქივს. ეს ხელნაწერებია: ფრანგულად დაწერილი ქართული ენის გრამატიკა, ფრანგულ და გერმანულ ენებზე შესრულებული „შუმერულ-აქადური ლექსიკონი“, „კელიშინის სტელის“ ლურსმნული ტექსტის მიხაკო წერეთლისეული ხელნაწერი, აქადური (ასურული) გრამატიკის ფრანგულენოვანი ხელნაწერი. ასევე, მიხაკო წერეთლის ფართოდ გავრცელებული ნაშრომის „შუმერული და ქართული“ გერმანული ვერსიის სამუშაო არქივი.

ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ვარაუდობენ, რომ აღნიშნული მასალები ჩვეულებრივი წესით არ იყო აღრიცხული, რადგან ისინი „აკრძალულ“ და „შეზღუდულ“ ლიტერატურას განეკუთვნებოდნენ.

◎ ალიანჩალიანი

სიმსივნით დაავადებულ ბავშვებს მერია დაეხმარება

თბილისის არჩეული მერი დავით ნარმანია მეუღლესთან ერთად ბერი ანდრიას ფონდის სარეაბილიტაციო სახლის პრეზენტაციას დაესწრო. ასევე, ესწრებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი, პარლამენტის წევრები და საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები.

სარეაბილიტაციო სახლი სოლიდური სიმსივნით დაავადებული ბავშვებისთვის შეიქმნა და იქ სხვადასხვა პერიოდულობით 27 ბავშვი გადის რეაბილიტაციას.

როგორც დავით ნარმანიამ განაცხადა, თბილისის მერია სიმსივნით დაავადებულ ბავშვებს მხარდაჭერას გაუწევს. „მე აქამდეც ძალიან ხშირად სხვადასხვა ფორმით ვმონაწილეობდი ამ ბავშვების მხარდამჭერ აქციებში, თუმცა, ახლა ვიღებ ვალდებულებას, რომ მათზე თბილისის მერიამ იზრუნოს, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

პრეზენტაციაზე თბილისის მერი და აშშ-ის ელჩი სარეაბილიტაციო სახლის საპატიო წევრებად აირჩიეს.

ინტერპრესი

◎ წიგნის წარდგინება

„გამოუქვეყნებელ ლექსთა კრებული“

158 ავტორს საჩუქრად გადაეცა!

ცოტა ხნის წინათ საქართველოს პენსიონერთა კავშირმა თავის წევრ თვითშემოქმედ პოეტებს, რომელთაც დღემდე არსად არაფერი დაუბეჭდავთ, გამოუცა წიგნი „გამოუქვეყნებელ ლექსთა კრებული“ და საჩუქრად გადასცა. პოეზიის საღამო და წიგნის წარდგინება აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში გაიმართა.

კრებულში საქართველოს პენსიონერთა კავშირის იმ წევრების ლექსებია შესული, რომლებიც დიდი ხანია მუზის მსახურნი არიან, მაგრამ დღემდე არსად არაფერი დაუბეჭდავთ. ისინი აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებაში და თავიანთი შემოქმედებით ალამაზებდნენ ამ შეხვედრებს.

მათი ბედით პირადად დაინტერესდა საქართველოს პენსიონერთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ბატონი ადერკინ კოპლატაძე და სწორედ ასე დაიბადა კეთილი იდეა, გამოსულიყო კავშირის წევრი უცნობი ავტორების ლექსების კრებული.

კავშირის რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა მოიძიეს თვითშემოქმედი ავტორების ლექსები და წიგნზე მუშაობაც დაიწყო. საქართველოს პენსიონერთა კავშირის ხელმძღვანელობის დიდი მონდომებითა და ძალისხმევით კრებული შედგა და იხილა კიდეც დღის სინათლე. წიგნი გამომცემლობა „ნეკერმა“ გამოსცა, მთავარი რედაქტორია ნანა – ლია დარჩიაშვილი, მხატვრული რედაქტორი ნიკო გურგენაშვილი, კორექტორი ლეილა გაფრინდაშვილი, ხოლო დიზაინი და დაკაბადონება გიორგი ბაგრატიონს ეკუთვნის.

მსახიობთა სახლში გამართულ პრეზენტაციაზე „გამოუქვეყნებელ ლექსთა კრებული“ საჩუქრად გადაეცა იმ 158 ავტორს, რომელთა ლექსებიც შესულია წიგნში. შემდეგ კი მათივე მონაწილეობით გაიმართა კონცერტი, რომელშიც პენსიონერთა კავშირის სხვა, უკვე ცნობილი პოეტები და მომღერალ-შემსრულებლებიც მონაწილეობდნენ.

საქართველოს პენსიონერთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ადერკინ კოპლატაძემ წიგნის გამოსვლა მიულოცა დამსწრეთ და სიხარული გამოთქვა კავშირის მიერ განხორციელებული კიდევ ერთი კეთილი საქმის გამო. მან მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც წიგნზე იმუშავა და პოეტებს ბევრი ასეთი სიხარული და შემდგომი წარმატებები უსურვა.

საქართველოს პენსიონერთა კავშირი 2000 წლიდან არსებობს, რომელიც თავის წევრებს, საქართველოში მცხოვრებ პენსიონერებს სოციალურ და მორალურ დახმარებას უწევს. ეს არის სურსათით, ტანსაცმლით, მედიკამენტებით, სამედიცინო მომსახურებით დახმარება, აგრეთვე დასვენება ზაფხულში შეღავათიან ფასებში ზღვაზე და მთაში, კულტურული ღონისძიებები: უფასო კინოთეატრები, პოეზიის საღამოები, გამოფენები...

ნატა ნიბლაძე

◎ ჭადრაკი

ტრომსოში – პირველი აგვისტოდან

139 ძალთა და 177 ვაჟთა ნაკრები იასპარეზებს მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე, რომელსაც 1-14 აგვისტოს ნორვეგიული ტრომსო უმასპინძლებს. ორ აგვისტოს პირველი ტურის შეხვედრები გაიმართება. სულ 11 ტური ჩატარდება, 7 და 13 აგვისტოს დასვენების დღეებია.

ქალებში რეიტინგით პირველია საჭადრაკო ოლიმპიადებისა და გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატების მრავალგზის გამარჯვებული ჩინეთის ნაკრები (საშუალო რეიტინგი 2544), რომელიც ასეთი შემადგენლობით ითამაშებს: ჰოუ იფანი (2629), ჟაო სიუ (2542), ძიუ ვენძიუნი (2538), თან ჟონი (2466), გუო ქი (2443). მეორე ადგილზეა რუსეთი (2521): ვალენტინა გუნინა (2501), ალექსანდრა კოსტენიუკი (2533), ნატალია პოგონინა (25089), ოლგა გირია (2493), კატერინა ლაგნო (2540), ხოლო მესამე - უკრაინის ნაკრები (2505): ანა მუზიჩუკი (2561), მარია მუზიჩუკი (2521), ანა უშენინა (2438), ნატალია ჟუკოვა (2451), ინა გაპონენკო (2380). **საქართველოს** ქალთა გუნდი(2498) რეიტინგით მეოთხე ადგილზეა: ნანა ძაგნიძე (2541), ბელა ხოტენაშვილი (2518), ლელა ჯავახიშვილი (2474), სალომე მელია (2454), ნინო ბაციაშვილი (2408).

ვაჟებში პირველობს რუსეთის ნაკრები (2777): ვლადიმირ კრამნიკი (2777), ალექსანდრ გრიშჩუკი (2795), სერგეი კარიაკინი (2786), პიოტრ სვიდლერი (2751), იან ნეპომნიაშჩი (2730). **საქართველოს** დიდოსტატ ვაჟებს საშუალო რეიტინგით (2624) მეოცე ადგილი უკავიათ: ბაადურ ჯობავა (2713), მიხეილ მჭედლიშვილი (2618), ლევან ფანცულაია (2591), გაიოზ ნიგალიძე (2542), კონსტანტინე შანავა (2551). გუშინ ჭადრაკის სასახლეში ქართველ დიდოსტატებს ტრომსოში გამგზავრების წინ საზეიმო გაცილება მოუწყვეს.

ლაშა დიდია

◎ ჩოგბურთი

განახლებული რეიტინგით

საძართველოს ჩოგბურთელ ქალთა ნაკრების ლიდერმა სოფიო შაფათავამ WTA-ს განახლებული რეიტინგით კლასიფიკაციაში ხუთი საფეხურით წინ გადაინაცვლა და დღეს 190-ე ადგილზეა.

190 (195). სოფიო შაფათავა (297 ქულა), 335 (332). ეკატერინე გორგოძე (118), 413 (381). ოქსანა კალაშნიკოვა (86), 485 (489). სოფიო ქვაცაბაია (65), 630 (635). მარგალიტა ჩახნაშვილი-რანციგერი (38), 860 (869). მარიამ ბოლქვაძე (16), 1258 (1263). მარიამ ჭალაგანიძე (3).

წყვილები. 63 (54). კალაშნიკოვა (1287), 176 (174). შაფათავა (370), 372 (341). გორგოძე (138), 436 (386). ქვაცაბაია (109), 962 (959). ბოლქვაძე (18), 1194 (1198). ჭალაგანიძე (8).

ვაჟებში ნიკოლოზ ბასილაშვილი 238 ქულით 207-ეა. მან შვიდი საფეხურით უკან დაიხია. 628 (613). ალექსანდრე მეტრეველი (45), 1037 (1038). გიორგი ცივაძე (10), 1124 (1123). გიორგი ჯავახიშვილი (8).

ამ კვირას ნიკოლოზ ბასილაშვილი იტალიაში ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 42.500 დოლარი) ითამაშებს. სხვა ქართველმა მამაკაცებმა თელავს მიაშურეს, სადაც ჩოგბურთელ ქალ-ვაჟთა 10-10-ათასიანი ტურნირები დაიწყება. ვაჟთა მთავარ ბადეში ითამაშებენ: გიორგი ჯავახიშვილი, გიორგი ცივაძე, ალექსანდრე მეტრეველი (იგი მე-5 ნომრადაა განთესილი), ალექსანდრე ბაკში, მიხეილ ჯავახიშვილი და გიორგი რევაზიშვილი, ხოლო ქალებში თამარ კუტუბიძე, მარიამ ბოლქვაძე, ანა ახალკაცი, თამარ ჭალაგანიძე, ლატავრა ანდრიაშვილი და მედეა პეტრიაშვილი მოსინჯავენ ძალებს.

ლექსო ცინცაძე

◎ ლეგიონერი

ოქრიაშვილიც „გენკში“ ითამაშებს

ქართველი შემტევი თორნიკე ოქრიაშვილი „გენკში“ ოფიციალურად წარადგინეს. ბელგიური კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით 22 წლის ოქრიაშვილმა სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა მისი 2 წლით გაგრძელების პერსპექტივით.

თორნიკე „გენკში“ 49-ნომრიანი მაისურით ითამაშებს და ახალ გუნდში პირველ მატჩს, სავარაუდოდ, მომავალ უქმეებზე ჩაატარებს. მასთან ერთად კლუბმა კონგოური ფესვების მქონე ბელგიელი ერვე კაგეს პრეზენტაციაც გამართა.

შეგახსენებთ, რომ მანამდე „გენკში“ კიდევ ერთი ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელი ლუკა ზარანდია ჩაირიცხა.

გიორგი ზოთაძე

◎ სუმო

აღზევებაც, დაქვეითებაც

26 წლის ქართველი სუმოისტი ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი) რანგით მესამე – მაკუშიტას დივიზიონში იყო დაქვეითებული, სადაც ორჯერ მიაღწია წარმატებას და ერთი რანგით წინ წაიწია, ამ ტურნირზე კი 13 მოგებითა და 2 მარცხით იჩინოჯოსთან პირველ-მეორე ადგილები გაიყო.

უძლიერესის გამოსავლენად დაინიშნა დამატებითი შეხვედრა, რომელიც ქართველმა სპორტსმენმა იორიკირით მოიგო და, შესაძლოა, მომავალი ბაშოსთვის ელიტარულ მაკუუჩი დივიზიონში აღზევდეს. თუ ასე არ მოხდა, ელიტაში, ალბათ, ქართველი მებრძოლის გარეშე დავრჩებით, რადგან მას დაემშვიდობება ჩვენებური გოლიათი გაგამარუ - თეიმურაზ ჯუღელი. იგი ნაგოიაში აღმოსავლეთის მე-15 მაეგაშირას წოდებით ასპარეზობდა და 15-დან 10 შერკინება წააგო, ასე რომ, დაქვეითებას ვერ ასცდება. სუპერტურნირზე შეუდარებელი იყო მონგოლი იოკოძუნა ჰაკუჰო. იგი მესამე სუმოისტია, რომელმაც „იმპერატორის თასი“ ოცდამეათედ დაისაკუთრა. სახელოვან მონგოლს ლეგენდარული ტაიჰო (32) და ჩიონოფუჯი (31) უსწრებენ.

გივი გაგუა

◎ ინტერნეტიდან

ელიანა - სერხიო რომეროს წარმატების საიდუმლო

არგენტინელი გოლკიპერის სერხიო რომეროს ბოლოდროინდელ გამორჩეულად კარგ და დამაჯერებელ თამაშს საფეხბურთო სპეციალისტები მისი მონდომებითა და საფეხბურთო ტალანტით ხსნიან. თუმცა, სულ სხვა აზრისანი არიან ბულვარული მედიის წარმომადგენლები.

„ყვითელი მოკალმეების“ აზრით, რომეროს წარმატების საიდუმლო მისი ლამაზი და ამასთან ერთად ექსტრავაგანტური ცოლია, რომელიც რომეროს მოწყენის საშუალებას არ აძლევს და ცოლის სიხალისით გალაღებული რომეროც იჭერს და იჭერს კარში შესავარდნად გახაზირებულ ბურთებს.

სერხიო რომეროს ცოლი, ყოფილი მოდელი ელიანა გუერსიო მიუხედავად იმისა, რომ ქმარზე გვარიანად უფროსია და უკვე 40 წელს მიუკაკუნა, თურმე ნამეტანი მხიარული ვინმე ყოფილა და ამის გამო მათი ოჯახიდან სულ ტაშფანდურის ხმა გამოდის. ხასიათი ხასიათად და ისე გარეგნულადაც არაფერი დაეწუნება სერხიო რომეროს ცოლს...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ კალათბურთი

კალიფორნიაში მაჭეზაა

გუშინ „ლოს ანჯელეს ლეიკერზმა“ კიდევ ერთი ახალწვეული – ჯერემი ლინი წარადგინა. აღნიშნულ ინფორმაციას კალიფორნიული გუნდის ოფიციალური საიტი ავრცელებს.

მიმდინარე ზაფხულში ლინი გუნდის ერთ-ერთი მთავარი შენაძენია. ლოს-ანჯელესელებმა იგი „ჰიუსტონ როკეტსიდან“ დაიმატეს. აზიური წარმოშობის 25 წლის ამერიკელ გამთამაშებელს ერთწლიანი გარანტირებული კონტრაქტი აქვს, რომლის თანახმადაც იგი მომავალ სეზონში 15 მილიონ დოლარამდე გამოიმუშავებს.

შეგახსენებთ, რომ ლინის გარდა უკანასკნელი თვის განმავლობაში „ლეიკერზმა“ კარლოს ბუზერი, ჯორდან ჰილი, ნიკ იანგი, რაიან კელი, ჯულიუს რენდლი და ედ დევისი დაიმატა. ამასთან, გუნდი უახლოეს დღეებში კონტრაქტს ვესლი ჯონსონთან, ხავიერ ჰენრისთან და ჯორდან კლარკსონთანაც გააფორმებს.

ცნობისათვის, ლინის წარდგენისას კალიფორნიელთა გენერალურმა მენეჯერმა მიჩ კაპჩაკმა აღნიშნა, რომ მისი გადაბირება აქამდე უკვე ორჯერ სცადა, თუმცა უშედეგოდ.

თავის მხრივ, ლინმა განაცხადა, რომ მოუთმენლად ელის კობი ბრაიანტთან და სტივ ნეშთან შეხვედრას, რომლებისგანაც ბევრის სწავლა სურს.

ვიტალი ჯაფარიძე.

◎ სატარიფო პოლიტიკა

ერთთეთრიანი „განათების“ მოლოდინი

„სატარიფო მეთოდოლოგიის დახვეწა“ თუ მომხმარებლის გატყავების მორიგი მცდელობა?

90-იანი წლებიდან მოყოლებული ქვეყნის ელექტროენერგიით მომარაგება იმდენად აქტუალური და მტკივნეული თემა იყო, რომ ქალაქურ ზეპირსიტყვაობაშიც მოხვდა, რადგან ბავშვების ერთმა თაობამ ფაქტობრივად, არც იცოდა, თუ რა არის ელექტროგანათება, ტელევიზორი და ა. შ. არადა, მაშინ იყო, რომ ქვეყნის ენერგოსექტორში ყველაზე დიდი უცხოური ინვესტიციები განხორციელდა, ენერგოსისტემის უამრავი ობიექტი უცხოურ კომპანიებზე გაიყიდა (თუმცა კი ეს პროცესი შემდეგ უფრო მეტად ნაცმოძრაობამ გააააქტიურა), მაგრამ ენერგომომარებას საშველი მაინც არა და არ დაადგა, მისი ტარიფი კი გამუდმებით იზრდებოდა. ამაში, ისევე როგორც უამრავ სხვა სიგლახეში, ნაცმოძრაობის წვლილი, მართლაც რომ, „ფასდაუდებელია“.

მაგრამ, როგორც ყველაფერს ამქვეყნად, ნაცმოძრაობასაც როგორც იქნა, დაესვა წერტილი. ახალი ხელისუფლება ძველი დანაშაულების გამოკვლევასა და „ბოროტის ძიების“ დასჯასაც შეჰპირდა ხალხს, მაგრამ... წლების მანძილზე, ენერგეტიკაში უდიდესი ფინანსური რესურსის დაბანდების მიუხედავად, ელექტროენერგიის ტარიფი მოსახლეობისთვის მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე მაღალი იყო და ახლაც ასეთია. წლების წინათ ენერგეტიკაში ჩადებული მილიონობით დოლარი არა მარტო ახალი ჰესების აშენებას, ძველებისა და ქვესადგურების შეკეთებას, გადამცემი ხაზების რეაბილიტაციას და კიდევ უამრავ სხვა საქმეს უნდა მოხმარებოდა, არამედ **ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფშიც უნდა ასახულიყო, ესე იგი ყველას ყოველ მოხმარებულ კილოვატსაათში გაცილებით ნაკლები უნდა გადაგვეხადა.** ჩვენ კი, იმის მაგივრად, რომ შვება ოდნავ მაინც გვეგრძნო, თან ტარიფს გვიმატებდნენ, თან ათას სხვა სისაძაგლესაც ამატებენ — ჯერ სულადობის გათვალისწინებით უნდა გადაგვეხადა ფული, მერე საცხოვრისის კვადრატული მეტრებით, მერე ეს გადასახადი დასუფთავების გადასახადს მიამატეს. ენერგეტიკისთვის მოსახმარებელი ფული კი სავსებით კონკრეტულმა პირებმა ჩაიჯიბეს, რომელთა ვინაობა საყოველთაოდაა ცნობილი, თუმცა კი პასუხის მომთხოვნი კაცი არ არის — ესაო, ძველი, ამიტომაც ძნელად გამოსაკვლევი საქმეებიაო... შედეგად მოსახლეობისთვის ელექტროენერგიაზე ტარიფი, უმნიშვნელო ფასდაკლებისა და ნაციონალების „ნაგვისგან მოცილების“ გარდა, ფაქტობრივად, იგივე დარჩა, ისევე, როგორც არ გაიაფებულა სხვა ენერგოშემცვლელები — გაზი, ნავთობპროდუქტები. ელექტროენერგიაზე კილოვატსაათში ტარიფის 3,5 თეთრით გაიაფებისას, ქვეყნის ხელისუფლებამ მოსახლეობას პირობა მისცა, რომ უახლოეს რამდენიმე წელიწადში იგი არ მოიმატებდა, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, ენერგომაფია ამ მცირე შეღავთსაც შეუტევს — რამდენიმე ხნის წინათ საქართველოს ენერგობაზარზე მოქმედმა ჩეხურმა კომპანია „ენერგო პრომ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში მოხმარებულ ელექტროენერგიაზე ტარიფის გაზრდის განცხადება შეიტანა.

ამას, ერთი შეხედვით, სემეკის, ასევე ენერგეტიკის სამინისტროს აღშფოთება უნდა გამოეწვია, თუმცა კი აქამდე გაკეთებული განცხადებებით, სემეკიც და ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლებიც ტარიფის მატების მომხრენი არიან, რასაც „ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებლობით ხსნიან“. ამასთან, თავად ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე მედიაში ატეხილ მითქმა-მოთქმას „უსაფუძვლოს“ უწოდებს და აცხადებს, რომ **ტარიფი არ გაძვირდება.** ეს პოზიცია ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გაამყარა, რაც გარკვეულწილად გულდამშვიდების იმედს კი იძლევა, მაგრამ, როცა ლაპარაკია „ტარიფების დათვლის მეთოდოლოგიის“ შეცვლაზე, ეს სერიოზულად დაფიქრების საბაბია. საქმე ის არის, რომ **არათუ ახალი მეთოდოლოგიის, ჯერ ძველის გადათვლის პრინციპებიც ბოლომდე გარკვეული პროფესიონალებისთვისაც კი არ არის.** თუმცა, ის კიაცნობილი, რომ ელექტროენერგიის ტარიფი ოთხი მდგენელისგან შედგება — ესენია **წარმოება** (ჰესები, თბოსადგურები), **გადაცემა და დისტრიბუცია** (მათ სახელმწიფოს კუთვნილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები მაღალი ძაბვის ხაზები და ქვესადგურები ახორციელებენ), ასევე ყველაზე საკამათო და საორჭოფო **განაწილება** საყოფაცხოვრებო ქსელში. **სწორედ ამ კომპონენტზე მოდის რატომღაც მთელი ტარიფის სამი მეოთხედი(?!)**, რაც სრულიად გაუგებარია. თუ რას გულისხმობს ახალი, ისევ სემეკის ხელმძღვანელობის მიერ „სამართლიანად“ მონათლული ახალი ტარიფის შემუშავების მეთოდი, უცნობია, უწყებაში ამაზე კომენტარს არავინ აკეთებს. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ **თუკი ლაპარაკი მართლაც „სამართლიანობაზეა“, სავსებით ბუნებრივია, რომ ტარიფის მეტი წილი შეხვდეს არა საბოლოო პროდუქციის სამომხმარებლო ქსელში გამანაწილებელს, არამედ ისევ მწარმოებელსა და მომწოდებელს.** მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ ტარიფის ცვლილების ინიციატივა კომპანია „ენერგო პროს“ ეკუთვნის, რომლის უკან რუსეთული კაპიტალი მოიაზრება, განაწილების 75-პროცენტიანი წილი შემცირებას არ უნდა ველოდოთ. ამის აუცილებლობას ელექტროენერგიის გამანაწილებლები დარგში ინვესტიციების ჩადების აუცილებლობით ხსნიან, თუმცა კი ცნობილია, რომ **„ენერგო პროს“ ჯერ კიდევ ამჟამად მოქმედი ტარიფის მიღებისას ნაკისრი საინვესტიციო ვალდებულებები სრულად არ შეუსრულებია.**

ასეა თუ ისე, ელექტროენერგიაზე ტარიფის ერთი თეთრით გაზრდის საკითხი ჯერაც გადაწყვეტილი არ არის, სემეკში მხოლოდ „სატარიფო მეთოდოლოგიის დახვეწაზე“ ლაპარაკობენ, რის შედეგად ის „გამჭვირვალე გახდება და კითხვის ნიშნებს არ დატოვებს“.

დაგვრჩება თუ არა კითხვები ჩვენ, რიგით მომხმარებლებს, სემეკთან და გაგვიჩნდება თუ არა ახლები, ამას ახლო მომავალში გავიგებთ.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ო, ენავ ჩემო!

ბევრი - მრავალი

ჩვენი ენათმეცნიერნი განასხვავებენ და ერთმანეთისაგან მიჯნავენ შემთხვევებს, როცა უნდა იხმარებოდეს განუსაზღვრელი სიმრავლის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელები ბევრი და მრავალი.

როდის უნდა ვიხმაროთ **ბევრი** და როდის — **მრავალი?**

თანამედროვე ქართულში ზედსართავი **ბევრი** „ბუნებრივ შესიტყვებებს ქმნის გარკვეული ჯგუფების სახელებთან. კერძოდ: ა) ნივთიერების სახელებთან, რომელთა სიმრავლე, სიდიდე დაუნაწევრებელია, მთლიანია (**ბევრი** ღვინო, **ბევრი** წყალი, **ბევრი** ოქრო...); ბ) საწყისებთან ანდა შინაარსობრივად მათთან ახლოს მდგომ სახელებთან **(ბევრი კითხვა, წერა, მუშაობა, ლაპარაკი, ბევრი სიცილი, სიმწარე, საქმე...)**...

მაგრამ თუ საზღვრული სახელი გასუბსტანტივებული საწყისითაა წარმოდგენილი ან აქვს ამის ტენდენცია, მასთან უფრო ბუნებრივია **მრავალი**-ს გამოყენება, ვიდრე ბევრი-სა: **მრავალი (შე)კითხვა, მრავალი ცდა...** ასევე, როდესაც პროფესიის, ხელობის, სოციალური მდგომარეობის გამომხატველი სახელები კონკრეტულ პირებს ახასიათებს, გაურკვეველი სიმრავლის აღსანიშნავად მათთან შესიტყვებაში ბუნებრივია ზედსართავი სახელი მრავალი.

მაშასადამე, **ბევრის** გამოყენება მართებულია არათვლადი, დაუნაწევრებელი, ზოგადი სიმრავლის აღსანიშნავად, ხოლო **მრავალი** ბუნებრივ შესიტყვებებს ქმნის ისეთ სახელებთან, რომლებიც თვლადია ანდა გამოხატავს დანაწევრებულ მთლიანობას. ამგვარი გამოთქმებია: **„მრავალი მთა (მდინარე), მრავალი ქვეყანა (ქალაქი)..., მრავალი ადამიანი, მრავალი წელი** და ა. შ.“, — ასეა ნათქვამი „ქართული სატყვის კულტურის საკითხებში“ მე-7 წიგნის 56-ე გვერდზე.

ამ რჩევა-დარიგებით აღჭურვილებმა, გავასწოროთ ქვემოთ მოყვანილი მაგალითები — **„ბევრ** (უნდა იყოს: **მრავალ**) ადამიანს არა აქვს ბინის შეძენის შესაძლებლობა“; **„ბევრმა** (უნდა იყოს: **მრავალმა**) დაუჭირა მხარი სპიკერის წინადადებას...“; „როგორც ჩანს, **ბევრისათვის** (უნდა იყოს: **მრავალთათვის**) უპირველეს ყოვლისა ჯარია მთავარი“; მთავრობის მორიგ სხდომაზე განიხილეს **ბევრი** (უნდა იყოს **მრავალი**) საჭირბოროტო საკითხი“; „თბილისის შემოგარენში ამოქმედებული **ბევრი** (უნდა იყოს: **მრავალი**) მეურნეობა ამარაგებს მოსახლეობას ახალი ბოსტნეულით“ და ვეცადოთ თავიდან ავიცილოთ გარკვეული კონტექსტისათვის გამოუსადეგარი ეს ფორმა.

ოთარ კაპანაძე

ქართული ენა რეალური დამცველის მოლოდინშია

სახელმწიფოში დედაენის პოლიტიკის განხორციელების, სახელმწიფო ენის ხელშეწყობის, ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვისა და სალიტერატურო ენის ნორმათა დამკვიდრების მიზნით 1997 წელს საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ბრძანებულებით შეიქმნა საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ამ საქმის გამოცდილი სპეციალისტი ბატონი ლევან ღვინჯილია. პრეზიდენტს დაქვემდებარებულმა ამ სტრუქტურამ, რომელიც საკმაოდ ქმედითუნარიანი იყო, სამწუხაროდ, მხოლოდ 7 წელი იმოღვაწა.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ენის პალატა ჯერ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაუქვემდებარეს, ხოლო მოგვიანებით საერთოდ გააუქმეს. „ნაციონალებმა ჩათვალეს, რომ საქართველოში ისედაც „კარგად“ იციან ქართული და ეს სტრუქტურა ზედმეტიაო!!!

სააკაშვილის რეჟიმის მოცილების შემდეგ ისევ დადგა დღის წესრიგში ენის სახელმწიფო პალატის აღდგენის საკითხი, რადგან ამჟამად საქართველოში ქართული, ეროვნული, სახელმწიფო ენა სრულიად დაუცველია. აუცილებელია, ამ ურთულესი ვითარების გამოსწორება და რეალური ბრძოლა ქართული ენის სიწმინდის დასაცავად.

როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, საქართველოს პარლამენტში შესულია კანონის პროექტი სახელმწიფო ენის შესახებ, ამიტომაც ვითარების გარკვევის მიზნით წერილით მივმართე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ დავით უსუფაშვილს. საქართველოს პარლამენტიდან დროულად მომივიდა კიდეც პასუხი: „გაცნობებთ, რომ უკვე მუშავდება და უახლოეს ხანში კომიტეტში შემოვა საქართველოს კანონის პროექტი „სახელმწიფო ენის შესახებ“, რომლის შემუშავებაშიც აქტიურად მონაწილეობს ბატონი ლევან ღვინჯილია. კანონპროექტით გათვალისწინებულია ენის დაცვის მიზნით სათანადო სახელმწიფო სტრუქტურის შექმნა“, აღნიშნულია საპასუხო წერილში, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ბატონი ივანე კიღურაძე.

იმედი ვიქონიოთ, რომ ქართულ ენას მართლაც გამოუჩნდება რეალური დამცველი.

ლადო ქირია

◎ წერილები რედაქციას

გაუმარჯოს ენვერ ხოჯას, ალბანეთის ბუდეს, გაუმარჯოს სააკაშვილს, ნაციონალთა იმედს

ამის მსგავსად ყღერდა ძველი ლექსი ენვერ ხოჯაზე და ჩინეთის მაშინდელ ლიდერ ჯუდეზე, რომელიც ყოფილი პრეზიდენტის სატელევიზიო ტრაბახმა გამახსენა „რუსთავი-2“-ზე, თუ როგორი პატივით შეხვდნენ დემოკრატსა და რეფორმატორს ალბანეთში, როგორ დარიგებებს აძლევდა ობამასა და უკრაინის მთავრობას კაცი, რომელმაც დემოკრატიის ყველა დროშა დახია... შეგახსენებთ, ხან საგაზეთო ჯიხურებს, ხან სატელევიზიო ანტენებს გაავლო მუსრი, ხან ოპონენტები ჯაშუშებად და ქვეყნის მოღალატეებად შერაცხა. და ასეთი კომპრომეტირებული პიროვნება სხვას ჭკუას ასწავლის, თანაც ბოღმას ვერ მალავს, ივანიშვილის ჭვალები დღემდე აწუხებს.

გახსენებაც არ მინდა 2008 წლის აგვისტოსი, როდესაც დამარცხებულმა და საქციელწახდენილმა (გორში ფორთხვის შედეგად) ომი მოგებულად აზეიმა თავის მომხრეებს, ასეთი კაცი ბედავს და მთავრობას აკრიტიკებს სრულიად სწორ და თავშეკავებულ პოზიციაზე რუსეთთან მიმართებაში, მხოლოდ მტერი თუ ურჩევს ქვეყანა სხვა ქვეყანას დააპირისპიროს.

ერთი ანდაზაა, უსინდისო კაცს აფურთხებდნენ, ის კი იძახდა:

ვა რა ჟუჟუნა წვიმა მოდისო, ასეა მისი საქმე, ბოლო ორი არჩევნებია, ხალხმა მათ უარი უთხრა და რისთვის, ამას თუ ვერ ხვდებიან, პრობლემები თავის თავში ეძებონ.

ვალიკო დოლიძე,
პენსიონერი, ჩოხატაური.

ვირუსი – სახელწოდებით „ნაციონალური მოძრაობა“

თანამედროვე ვირუსოლოგიამ აღმოაჩინა დღემდე უცნობი ვირუსი — პარტია ნაციონალური მოძრაობა. ცნობილია მისი ძირითადი მახასიათებლები: ღვარძლი, ბოღმა, ტყუილი, სიხარბე, უტიფრობა, ძალადობა... წინასწარი შესწავლით დადგინდა, რომ ეს ვირუსი არ ექვემდებარება მკურნალობას, რომ, საბედნიეროდ, ამ ვირუსით შეპყრობილნი, — ბოღმაში დამხრჩვალნი, თვითონვე ამოწურავენ თავიანთ არსებობას.

P. S. 27 ივლისის ღამეს რამდენიმე საათით ჩაბნელებული საქართველო — ეს ხომ თქვენი ბოღმით დაბნელებული აზროვნების მოქმედების შედეგია, სიხარული რომ მოგანიჭათ ნუ გიხარიათ, საბოლოო დაბნელება გელოდებათ ნაციონალური პარტიის მესვეურნო, ქვეყნის მოღალატენო!!!

ლონდა მდივანი

◎ კრიმინალი

თურქები ყალბ ფულს გვასაღებდნენ

საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე, თურქეთის მოქალაქეები ფათიჰ სანჯაქთუთანი და აიჰან ფეჰლივანი დააკავეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებებით დადგინდა, რომ დაკავებულებმა ერთ-ერთ მოქალაქეზე 6 000 ყალბი თურქული ლირა გაასაღეს.

დანაშაული ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით.

◎ თითქმის დაუჯერებელი, მაგრამ ნაღდი...

16 ყველაზე ძვირადღირებული...

სულ ცოტა ხნის წინათ, ერთ-ერთმა პოპულარულმა ამერიკულმა სამეცნიერო სააგენტომ გამოაქვეყნა სია, რომელშიც შეყვანილია მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული მატერიები.

დავიწყოთ ბოლო ადგილიდან:

16) საფრონი

სანელებელი, რომელიც მიიღება მცენარე საფრონისაგან. ეს მცენარე მართალია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მოჰყავთ, თუმცა, მისგან იმდენად მცირე რაოდენობით მიიღება აღნიშნული სანელებელი, რომ მისი ღირებულება ყველა სხვა სანელებლის ღირებულებას მკვეთრად აღემატება. 150 საფრონის ყვავილის დამუშავებაა საჭირო, რათა ერთი გრამი სანელებელი მიიღო, ხოლო ამ ერთი გრამის ღირებულება 11 აშშ დოლარია და ასევე მკვეთრად აღემატება იმავე რაოდენობის ვერცხლის ღირებულებას.

15) ოქრო



ყველასათვის ცნობილი და საყვარელი ძვირფასი ლითონი, რომლის ფასიც მუდმივად მერყეობს, თუმცა, მაინც რჩება და ალბათ, ყოველთვის იქნება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის გარანტი. ერთი გრამი ოქროს (999 სინჯის) ღირებულება საერთაშორისო ბაზარზე, დაახლოებით 50 აშშ დოლარია.

14) როდიუმი

ლითონი, რომელსაც შეიცავს დაუმუშავებელი ოქრო, პლატინა, პალადიუმი და ვერცხლი. იგი მეტად იშვიათი მეტალია და ძირითადად სამეცნიერო საქმიანობაში გამოიყენება. ერთი გრამი როდიუმის ღირებულება დაახლოებით 60 აშშ დოლარია.

13) პლატინა



მენდელეევის ცხრილის ერთ-ერთი უიშვიათესი ძვირფასი ლითონი, რომელიც ძირითადად სამხრეთ აფრიკაში მოიპოვება. მას და მის ნაერთებს ძირითადად სამეცნიერო ტექნიკის წარმოებაში და მედიცინაში იყენებენ, როგორც ქიმიოთერაპიის შემადგენელ ნაწილს. ერთი გრამი პლატინის ღირებულება დაახლოებით 65 აშშ დოლარია.

12) მეტამფეტამინი

ერთ-ერთი ძვირადღირებული სამედიცინო პრეპარატი, რომელიც ყველაზე მეტად ნარკომანებს უყვართ. მისი ერთი გრამის ღირებულება 100 აშშ დოლარია.

11) მარტორქის რქა

მას დღესაც იყენებენ აღმოსავლურ მედიცინაში, ასევე ბევრი მდიდარი მონადირისათვის მარტორქის მოკვლა და მისი ნაწილების შენახვა პრესტიჟის საკითხია. ასეთმა დამოკიდებულებამ მარტორქა ბევრ ქვეყანაში გადაშენების პირას მიიყვანა, მაგალითად ვიეტნამში ბოლო მარტორქა 2010 წელს მოკლეს. მისი რქის ერთი გრამის ღირებულება 110 აშშ დოლარია.

10) ჰეროინი

ეს მისი, როგორც ნარკოტიკის სახელია, ხოლო სამედიცინო გამოყენებისას მას დიამორფინს უწოდებენ და გამოიყენება გულის შეტევისას და სხეულის მძიმე დაზიანებისას, როგორც შოკის საწინააღმდეგო საშუალება. ჰეროინი ნარკომანებისათვის დღემდე რჩება ერთ-ერთ საყვარელ და ძვირადღირებულ ნარკოტიკად. მისი ღირებულება „შავ ბაზარზე“ დაახლოებით 130 აშშ დოლარია, თუმცა, ფასი ყველა ქვეყანაში განსხვავებულია და ზოგან მკვეთრად მეტია, ხოლო ზოგან — ნაკლები.

9) კოკაინი

ძლიერმოქმედი ნარკოტიკული საშუალება, რომელიც ყველაზე სწრაფად იწვევს ნარკოდამოკიდებულებას. შავ ბაზარზე მსოფლიო მასშტაბით მისი წლიური ბრუნვა წელიწადში 80 მილიარდ აშშ დოლარს აღემატება. ერთი გრამი კოკაინის ღირებულება დაახლოებით 215 აშშ დოლარია.

შეკრიბა
თეო ტაბატაძემ

ქართული ფლორის საოცრება

„სალხინო“ უებარი წამალია

„სალხინო“ აწესრიგებს შარდსასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. რეკომენდებულია მასტოპათიების, ჭრილობების, კანის, ლორწოვანი, ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი სისტემის ანთებითი დაავადებების დროს. რინიტის, ბრონქიტის, პულპიტის, გინგივიტის, პარადონტიტის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ჰეპატიტის, ნეფრიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, პროსტატიტის, რადიკულიტის, ბუასილისა და სხვა ანთებითი პროცესებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობა-პროფილაქტიკისათვის. აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედებას.

„სალხინო“ სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭისა და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს, გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ **„სალხინოს“** მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

„სალხინოში“ შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებული და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნის ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

„სალხინო“ იკითხეთ აფთიაქებში.

- **გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.**
- **გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.**

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge

◎ ინფორმაცია

ხანძარი ბაკურციხეში

სოფელ ბაკურციხეში გაჩენილი ხანძრის შედეგად, ჯანიაშვილების ოთხსულიანი ოჯახი ღია ცის ქვეშ დარჩა. მთლიანად დაიწვა ავეჯი და საყოფაცხოვრებო ტექნიკა. ხანძრის ლოკალიზებას გურჯაანის სახანძრო-სამაშველო სამსახურის სრული შემადგენლობა რამდენიმე საათის განმავლობაში ცდილობდა.

თვითმხილველების თქმით, ხანძარი სავარაუდოდ მოძველებულმა ელექტროგაყვანილობამ გამოიწვია და მთლიანად შენობაზე გავრცელდა.

დაზარალებული ოჯახისთვის ალტერნატიული ფართის გამოყოფაზე გურჯაანის გამგეობაში იმსჯელეს.

◎ კადრი

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— ღმერთო! მაქციე, გეთაყვა, სულელად! — ეხვეწება ქალი.

— რად გინდა? შენ ხომ ისედაც მოსწონხარ კაცებს.

— მინდა, რომ მეც მომწონდეს კაცები!

* * *

— მამაო, როგორ ფიქრობ, შემინდობს ღმერთი ყველა ცოდვას, თუ ახლა მილიონ დოლარს შემოგწირავ? — ეკითხება ოლიგარქი მონასტრის წინამძღვარს.

— ასპროცენტიან გარანტიას ვერ მოგცემ, შვილო ჩემო, მაგრამ მგონი, ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა გარისკვაა საჭირო!

* * *

— მუდამ ვოცნებობდი ისეთ სამსახურზე, რომ ზაფხულში ჩრდილოეთ ნახევარსფეროში მემუშავა, ზამთრობით კი — სამხრეთში.

— მაპატიე, მაგრამ გარეული ხვების გადამრეკავის პროფესია ჯერ კიდევ არ შემოუღიათ.

* * *

ერთხელ დამესიზმრა, რომ ჩემი ცოლი საშინლად ხვრინავდა.

ვიღვიძებ: არაფერი ამის მსგავსი — უცოლო ვარ!

* * *

— მისმინე, ძმაკაც! — ეუბნება ახალი რუსი ფრანგული რესტორნის ოფიციანტს, — ბაყაყის ფეხები გაქვს?

— რა თქმა უნდა, მუსიე.

— მაშინ სკუპ-სკუპით გაექანე ბუფეტისკენ და ლუდი მომიტანე!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსაპიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ძოგულია
299-62-77;
599 36 00 35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ბაშაკიძე 514 33-33-24